# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 3 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 186 (6044)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.





ბორის სოკოლოვი:

## ნაგლეჯვა სუდეტურად

ჰიტლერ-პუტინიანა სოკოლოვისებურად

3-4

რატომ გაიმეტა კიწმარიშვილმა პატრონი და რას ნანობს „დიდი სამეულის“ ყოფილი „მაყურებელი“?



## თუ მიშას „დაერხა“...

5

პრეზიდენტი მედიის სამოცზე მეტ წარმომადგენელს შეხვდა...

ერიჰააა!

2

ბიწაძის ხალხსაც მიადგნენ?

5

სასამართლო რეფორმა მთავრობის ახალი ფარსია

## ჩვენს პუბლიკაციას უპასუხებს ექსპრეზიდენტი შევარდნაძე

4





The Christian Science Monitor

8

## ვინ დაიწყო ომი?



6-7

## ენა და სახელმწიფო

საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვის აუცილებლობის შესახებ

ხელისუფლება რუსეთისგან ზარალის ანაზღაურებას არ ითხოვს!

11



ინფორმაცია

## ევროპელი დამკვირვებლები სამეგრელოს ეწვივნენ



**ევროკავშირის დამკვირვებლები ზუგდიდიდან სენაკისა და ჩხოროწყუს მიმართულებით დაიძრნენ. დაგეგმილია მოსახლეობასთან შეხვედრები და წალენჯიხის რაიონში რუსული ბლოკპოსტების მონახულება.**

დღეს კი მისიის წევრები ხურჩასა და განმუხურში ჩავლენ და მონიტორინგს ადგილზე ჩაატარებენ.

ევროპელი დამკვირვებლების პირველმა სამუშაო დღემ, 1 ოქტომბერს მშვიდად ჩაიარა. მონიტორინგის შედეგები ევროპელი დამკვირვებლების მისიის ხელძღვანელმა შეაფასა.

ჰაბერის განცხადებით, პირველი დღე გაცნობითი ხასიათის იყო. მისიის წევრები ადგილობრივ ხელისუფლებას, მოსახლეობას და რუს სამხედროებს შეხვდნენ. ინციდენტი არც შემოვლით გზებზე დაფიქსირებულა.

## რუსეთმა საქართველოდან ჯარები უნდა გაიყვანოს!

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, დაედასტურებინა რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილება და დასძინა, რომ აღნიშნული საკითხისადმი მიბრუნება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.**

პარლამენტარებმა მიიჩნიეს, რომ ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, აგვისტოში განვითარებული მოვლენები წარმოადგენს „ევროპის საბჭოს წესდების“ და ასევე მათი, როგორც წევრი ქვეყნების მოვალეობებისა და ვალდებულებების სერიოზულ დარღვევას.

მომხსენებელ ანდრეას გროსის შემოთავაზებათა მიხედვით, პარლამენტარებმა აღნიშნეს, რომ



მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნეს დიალოგი და ნდობის ორმხრივად აღდგენა არა მარტო ორივე მხარის, არამედ თითოეულ მათგანსა და ასამბლეას შორის. პარლამენტართა განცხადებით, აუცილებელია, რუსეთმა „შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება“ და გაიყვანოს ჯარები ომის წინა პოზიციებზე, ასევე, ნება დართოს გაეროსა და ეუთოს დამკვირვებელთა განთავსებას.

## თეთრი სახლი კრემლს სტრატეგიის შეცვლას ურჩევს

**თეთრი სახლი კრემლს სტრატეგიის შეცვლას ურჩევს. კონდოლიზა რაისს, იმედი აქვს, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ რუსეთი თავის საგარეო პოლიტიკას გადახედავს.**

— ჩვენ ვფიქრობდით, რომ რუსეთი საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრირებას მოახდენდა. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გზას აირჩევდა და იმას გააკეთებდა, რაც პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა: მოხდებოდა ინოვაციებზე, ინვესტიციებსა და რუსი ხალხის ინტელექტუალურ კაპიტალზე კონცენტრაცია. საქართველოში შეჭრამ კი საპირისპირო დაადასტურა, — განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა პრესასთან საუბრისას.

**ინტერპრესნიუსი**

ერიჯაა!

# მიშას „მეტამორფოზა“

## პრეზიდენტი მედიის 60-ზე მეტ წარმომადგენელს შეხვდა...



**არ მეგონა, ვერც წარმოვიდგენდი, საკუთარი პიარის დიდოსტატი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც თავისუფალი მედია ფეხებზე ჰკიდია, აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ, მამა აბრამის ბატკანი გახდებოდა და საკუთარ რეზიდენციაში 60-ზე მეტ ჟურნალისტს ერთად მიგვიწვევდა.**

სამთავრობო ჯიბის ტელევიზიების ექვსიოდე წარმომადგენელთან ერთად... აქ იყვნენ ოპოზიციური ჟურნალ-გაზეთების, ტელეკომპანიების, საინფორმაციო სააგენტოების, პოლიტიკური პარტიების პრესსამსახურების, საქართველოში აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ტრადიციული, გულის ამრევი მონოლოგის ნაცვლად, პრეზიდენტმა თითქმის ყველა ჟურნალისტს მოუსმინა და მათ პრინციპულ შეკითხვებს გულწრფელი, დამაჯერებელი, მართალზე მართალი პასუხი გასცა.

მასშტაბური პრესკონფერენციის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ბოლო დროს საქართველოსა და მსოფლიოში განვითარებული მოვლენები იყო. პრეზიდენტმა დამაჯერებლად განმარტა, თუ როგორ გავიმარჯვეთ ხუთდღიან ომში, როგორ გავანადგურეთ უზარმაზარი რუსეთი და ცივილიზებული სამყაროს თვალში მიწასთან გავასწორეთ მისი სახელმწიფოებრივი იმიჯი; როგორ აღსდგა მთელი მსოფლიო (უგო ჩავესის, დანიელ ორტეგას, ფიდელ კასტროსა და პალესტინელთა ორგანიზაცია „ჰამასის“ გარდა) საქართველოს დასახმარებლად და დანგრეული ეკონომიკის მიშას ტემპში, უსწრაფესად აღსადგენად!

აი, ნამდვილი დემოკრატია, საჯაროობა, პრესის თავისუფლება.

აი, გაწონასწორებული, თავმდაბალი, დაბრძენებული, დამღუპველი ბაქიბუქისგან თავდაღწეული პრეზიდენტი — ხუთწლიანმა მმართველობამ, თურმე, რამდენი რამ ასწავლა, როგორ დახვეწილა, სუპერდიპლომატი გამხდარა, ყველასთვის უცნობი და არარაობად ქცეული საქართველოს სახელი საქვეყნოდ გაუტყორცნია...

„მე ბედნიერი ვარ, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ხანაში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ“, — ამბობს თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის და მიშისტების ერთ-ერთი სახე ეკა ხერხეულიძე.

ამაზე დიდი ადამიანის შეფასებაზე მეტი რაღა გინდათ?!

მართლაც, ბედნიერებაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, პოლონეთის პირველი პირების მსგავსად, ამიერიდან მიხეილ სააკაშვილი კვარტალში ერთხელ შეხვდება ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს და... რაც მთავარზე მთავარია, თვითონ არ იტრაბახებს, მხოლოდ მოწვეულთა შეკითხვებს უპასუხებს.

არა, ძმაო, მსგავსი სულიერი მეტამორფოზა, ნამეტნავად ცუდი ეპითეტებით შემკული პრეზიდენტის გარდაქმნა რუსებთან ხუთდღიან ომს თუ შეეძლო, ვერ წარმოვიდგინა.

რას არ მოგვასწრებს წუთისოფელი...

**სპარტაკ ქოზულია**



**P.S. სარკაზმის ელემენტებით სავსე ამ „დითირამბის“ შექმნა 1 ოქტომბრის საღამოს ერთმა გამაოგნებელმა შეხვედრამ მაიძულა. ჩვენი „დამარცხებით გამარჯვებული“ პრეზიდენტი ქართული მასმედიის სახელით ასე უნამუსოდ მითვისებულ-მიკერძოებული საკუთარი ტელეკომპანიების ექვსიოდე წარმომადგენელს შეხვდა და ყოვლად უსახური პრესკონფერენცია გამართა.**

**კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: ამ ხელისუფლების ხელში ქართულ დემოკრატიას, პრესის თავისუფლებას სიკეთე არ დაეყრება.**

**ს. ქ.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი

## საქართველოს რუკაზე რუსების არც ერთი პოსტი აღარ უნდა იყოს

**საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რუსული უკანონო ბლოკ-საგუშაგოების 10 ოქტომბრამდე გაუქმების აუცილებლობის შესახებ კომენტარები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა კიდევ ერთხელ გააკეთა.** სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანის შონ მაკკორმაკის განცხადებით, რომელმაც ჟურნალისტებს საქართველოში არსებული ვითარება რუკის მეშვეობით კიდევ ერთხელ, დეტალურად გააცნო, განაცხადა, რომ ის ტერიტორია, სადაც ამჯერად უკანონო რუსული საგუშაგოებია, 10 დღეში საერთაშორისო დამკვირვებლების პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა მოექცეს.

**ჯო-ეიბ-ენი**

თვალსაზრისი

# „ორპარტიული სისტემა“ თუ

**ბოლოდროინდელმა რამდენიმე მოვლენამ პოლიტიკით დაინტერესებული საზოგადოება კვლავ „დიდი მოვლენების“ მოლოდინით აღავსო. როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში ისევ აქტუალურია ძველი ჩინური წყევლა: „შენ გეცხოვროს საინტერესო დროში!“.**

ექს-პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის დემარშს ამჟამინდელი მინისტრთა კაბინეტის “არაპროფესიონალიზმისა და არაქმედუნარიანობის შესახებ“ (მაშინ, როდესაც მისსავე კაბინეტში, რეალურად, მხოლოდ პრემიერი შეიცვალაძ, ეროსი კიწმარიშვილის განცხადებას „პრეზიდენტისადმი უნდობლობისა და მისი გუნდიდან წასვლის შესახებ“; ზურაბ ჟვანიას ძმის გოგა ჟვანიას ერთმნიშვნელოვან „პროგნოზს“ ამჟამინდელი ხელისუფლების „მალე შეცვლისა და მკვლელობის გარემოებათა გამოძიების“ თაობაზე, მოჰყვა სახალხო დამცველის ინიციატივა აპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ, რომლის მიზანია „ანტიდემოკრატიული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სოზარ სუბარი იყო პირველი საჯარო ფიგურა, რომელმაც მიხეილს სააკაშვილს 5 იანვრის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და ამით მისი ლეგიტიმურობის საკითხი დიდწილად გადაწყვიტა კიდეც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ინიციატივიანობის“ გამწვავება ძირითადად აგვისტოს მარცხმა განაპირობა და საზოგადოებაში წარმოშობილმა მოთხოვნებმაც გაამწვავა.

სწორედ ამ მხრივ, სოზარ სუბარის გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია, ვინაიდან სახალხო დამცველს არაერთგზის განუცხადებია, რომ დემოკრატია არის არა სტატიკური მდგომარეობა, არამედ დემოკრატიული ღირებულებისათვის და მათი დარღვევის საწინააღმდეგოდ უწყვეტი ბრძოლის პროცესი.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით, სწორედ ამ პოსტულატში მჟღავნდება ამ საკმაოდ ჭკვიანი მოღვაწის ძირითადი განწყობა, რაც, გარეგნული შთაბეჭდილების მიუხედავად, არანაირ შანსს არ უტოვებს „რევოლუციებისა“ და „დამხობების“ მომხრეებს; სამაგიეროდ, ქმნის ასპარეზს ხელისუფლებაზე ფართო სამოქალაქო ზეწოლისა და კომპრომისებისთვის.

ყველაფრით ჩანს, უახლოეს მომავალში პოლიტიკური პროცესი სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება და პრეზიდენტ სააკაშვილს გარკვეულ ცვლილებათა განხორციელება მოუწევს - როგორც კი ეს ცვლილებები (მათ შორის საკადრო პერტურბაცია მინისტრთა კაბინეტშიძ მთლიანად ხელისუფლების „ჩამოშლის“ (ძალიან ეშმაკურად მიგნებული ტერმინია-ნ.ვძ შთაბეჭდილებას აღარ შექმნის, ანუ დაახლოებით ისე აღიქმება ფართო სოციუმის მიერ, როგორც გასულ წლებში განხორციელებული „საკადრო კარუსელები“. საეჭვოა, ამჯერად საქმე მხოლოდ მთავრობაში ცვლილებებით შემოიფარგლოს. მოსალოდნელია აგრეთვე „საზოგადოებრივად რეზონანსული“ რეფორმები, მაგალითად, სასამართლო სფეროში “ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება, მისი რეალურად ამოქმედება, რაც ხალხს საკუთარი პასუხისმგებლობის მნიშვნელობასა და მტკივნეულობას აგრძნობინებს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, როგორც არ უნდა ეცადონ რადიკალურად განწყობილი და განაწყენებული პოლიტიკოსები, ამჟამად არანაირი „ლეგიტიმური გადატრიალებისთვის“ და „ხელისუფლების ჩამოშლისათვის“ პირობები არ არსებობს.

ყველა ლეგალური ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოში მოქმედებს, დაინტერესებულია ვითარების სტაბილიზირებით. საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ორი მაგალითი ინსტიტუციური თვალსაზრისით: საპარლამენტო ოპოზიცია არ დაეთანხმება გაზაფხულზე ახალი არჩევნების დანიშვნას, რაკი ასეთ შემთხვევაში თავადაც აღმოჩნდება „თამაშგარე მდგომარეობაში“, ხოლო მაგალითად „ტელემედიის“ ლოიალობას ხელისუფლების მიმართ არა მხოლოდ მედიამფლობელთა შეკვეთა განსაზღვრავს, არამედ ის გარემოებაც (ამას ნაკლებად ექცევა ყურადღებაძ, რომ კონკრეტული ჟურნალისტური კოლექტივები, ოდესღაც პოპულარული და დღეს ეთერიდან გამქრალი კოლეგების მწარე მაგალითით, ზუსტად ხვდებიან: სახელისუფლებო კატაკლიზმებსა და ხელისუფლების შეცვლას უეჭველად

არაფერია მზის ქვეშ ახალი



***ბორის სოკოლოვი** რუსეთ-საქართველოს შორის აგვისტოში დაწყებულ ომამდე რუსეთის სახელმწიფო სოციალური უნივერსიტეტის პროფესორი იყო. 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე მან თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე გამოთქვა.*

*მისი სტატიის დაბეჭდვა გაზეთ „გაზეტას“ მთავარი რედაქტორის დათხოვნის მიზეზი გახდა. ბორის სოკოლოვი კი უნივერსიტეტიდან, რექტორატზე ხელისუფლების ზეწოლის გამო გაათავისუფლეს.*

*სოკოლოვის განმარტებით, უნივერსიტეტიდან მისი გაშვება უნივერსიტეტის რექტორს ვასილ ჟუკოვს, პრეზიდენტ მედვედევის ადმინისტრაციიდან დარეკილმა ზარმა კატეგორიულად მოითხოვა. ამის შესახებ მას რექტორმა დეკანის საშუალებით აცნობა. დეკანმა კოლეგა პროფესორ ბორის სოკოლოვს გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა ნებაყოფილობით სთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნებოდა თავად მიეღო გადაწყვეტილება მისი სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. სოკოლოვმა კოლეგას ანგარიში გაუწია და სამუშაოდან წასვლის შესახებ განცხადება თავად დაწერა.*

*„სამუშაოს დაკარგვაზე მეტად იმას განვიცდი, რომ 8 აგვისტოს შემდეგ რუსეთი სულ უფრო სწრაფად და მიზანმიმართულად ბრუნდება საბჭოთა ეპოქაში. ბევრს კი ჰქონდა იმედი, რომ „მედვედევის დათბობის“ დრო დადგებოდა, მაგრამ აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ ცხადი გახდა, რომ „მედვედევის ყინვები“ დაიწყო. —აღნიშნავს უმუშევრად დარჩენილი კრემლის ოპონენტი, რუსი პროფესორი **ბორის სოკოლოვი**.*

# ბორის სოკოლოვი: ნაგლეჯვა სუდეტურად

70 წელი გვაშორებს ავადსახსენებელ მიუნხენის შეთანხმებას, მიუხედავად ამისა უკანასკნელ პერიოდში სიტყვა „მიუნხენი“ და „სუდეტები“ ხშირად ხვდება გაზეთების ფურცლებზე. ეს შედეგია იმისა, რომ რუსეთი, ისევე როგორც 1930 წლებში გერმანია, „მუხლებიდან წამოდგა.“

1938 წლის სექტემბერში ჰიტლერმა ღია შანტაჟით იძულებული გახადა ინგლისისა და საფრანგეთის ლიდერები, რომლებსაც არ სურდათ ომში ჩართვა, გერმანიას გადასცემოდა ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი, რომელიც ძირითადად გერმანელი ეროვნების მოქალაქეებით იყო დასახლებული. ამის სანაცვლოდ ჰიტლერმა პირობა დადო, რომ ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი ტერიტორიული პრეტენზია ევროპაში და ასევე პირობას იძლეოდა, რომ იგი უზრუნველყოფდა დანარჩენი ჩეხოსლოვაკიის მთლიანობას. ამ პირობის გარანტიის ვადა ხანმოკლე აღმოჩნდა. ნახევარი წელიც არ იყო გასული, რომ 1939 წლის მარტში გერმანიამ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია განახორციელა.

გერმანიიდან სრულად იმართებოდა სუდეტელ-გერმანელთა პარტია კონრადი. გენლეინმა, რომელიც 3,5 მილიონი სუდეტელი გერმანელის მხარდაჭერით სარგებლობდა, 1938 წლის 22 მაისს პრაქტიკულად პუტჩი განახორციელა და მუნიციპალური არჩევნები გადააქცია სუდეტის ოლქის გერმანიაზე მიერთების პლებისციტად. იმ დროისათვის ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ღონისძიებები გაატარა საიმისოდ, რომ ეროვნულ კრებაში და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში წარმოდგენილი ყოფილიყვნენ სუდეტელ გერმანელთა წარმომადგენლები. ასევე მიიღეს გადაწყვეტილებები, რომელიც სუდეტელ გერმანელებს მშობლიურ ენაზე განათლების უფლებას უზრუნველყოფდა. მაგრამ დათმობებმა კიდევ უფრო გაათამამა სეპარატისტები. პუტჩის ჩასახშობად პრაღამ სუდეტის ოლქში ჯარები შეიყვანა. ამის შემდეგ ინგლისის შუამავლობით სასწრაფოდ დაიწყო მოლაპარაკებები გენლეინის პარტიასა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობას შორის. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ედუარდ ბენეში 5 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში სუდეტებისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას დათანხმდა.

**12 სექტემბერს ნიუნბერგში პარტიულ ყრილობაზე გამოსვლისას ჰიტლერი პრაღას პირდაპირ დაემუქრა : „ღმერთს 7 მილიონი ჩეხი 3 მილიონ ნახევარი სუდეტელი გერმანელის დასაჩაგრავად არ შეუქმნია“ და გააფრთხილა, რომ „დაჩაგრული სუდეტელი გერმანელების ზურგს უკან, შეიარაღებული გერმანელი ერი დგას“.**

ამ განცხადებამ პროვოცირება გაუკეთა სუდეტელ გერმანელთა აჯანყების დაწყებას, რომლის შემდეგაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობა იძულებული გახდა ოლქში სამხედრო მდგომარეობა გამოეცხადებინა. საპასუხოდ გენლეინმა პრაღას სუდეტიდან ჩეხოსლოვაკიის ჯარების გაყვანის ულტიმატუმი წაუყენა. ულტიმატუმი ასევე სამხედრო მდგომარეობის გაუქმებას და საპოლიციო ფუნქციების ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაცემას ითვალისწინებდა. ჰიტლერი ბერლინში ინგლისის ელჩს დაემუქრა, რომ გენლეინის ულტიმატუმის მიუღებლობის შემთხვევაში ომი დაიწყებოდა.

ანალოგიური ულტიმატუმი პრაღას ბერლინმაც წაუყენა: სუდეტების დატოვება 28 სექტემბერის 2 საათისათვის მოითხოვა და ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში საომარი მოქმედებების დაწყებით დაემუქრა. ამასთან დაკავშირებით ჰიტლერმა განაცხადა — **„მე ბენეშს ჩემი პირობები წავუყენე, მას მარტო მათი შესრულება დარჩენია, მით უმეტეს, რომ მან ეს პირობები უკვე მიიღო. მშვიდობა იქნება თუ ომი, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული. მან უნდა მიიღოს ჩვენი პირობები, მისცეს თავისუფლება გერმანელებს. თუ ასე არ მოხდა, გერმანელები თავისუფლებას თავად მოიპოვებენ. მე გერმანელ ჯარისკაცთა პირველ რიგებში ვიქნები“.**




29 სექტემბერს, მუსოლინის წინადადებით, მიუნხენში სუდეტის კრიზისის მოსაწესრიგებლად მოლაპარაკებები დაიწყო. ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია მიუნხენში მხოლოდ წამყვანი ქვეყნების მიერ შემუშავებული პირობების გასაცნობად მიიწვიეს. **მიუნხენის დეკლარაციას ხელი ჩემბერლენმა, დალადიემ, მუსოლინიმ და ჰიტლერმა 30 სექტემბრის დილის 5 საათზე მოაწერეს. მეორე დღეს გერმანიის ჯარებმა წინააღმდეგობის გაუწევლად სუდეტები დაიკავეს. შემდეგ სუდეტის ლაშქრობას „ყვავილოვანი ომი“ ეწოდა, ვინაიდან სუდეტებში შესულ გერმანელ ჯარისკაცებს თავის განმათავისუფლებლებს სუდეტელები ყვავილებს ესროდნენ. ხომ არ გაგონებთ ეს სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში შესული რუსული ჯარებისა და ოსი და აფხაზი ეროვნების მოქალაქეების აღფრთოვანებული შეხვედრის სცენებს?**

1938 წლის 5 ოქტომბერს სუდეტების გერმანიისათვის მიერთებისადმი მიძღვნილ ბერლინის „სპორტპალასტში“ გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე ჰიტლერმა განაცხადა: **„ჩვენ ისტორიის შემობრუნების მნიშვნელოვანი ფაქტის მოწმენი ვართ. 20 წლის წინათ ჩვენ თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ შევინარჩუნეთ გერმანიის რწმენა და არასოდეს გვითქვამს უარი გერმანულ სულზე და იმის უფლებაზე, რომ გვეცხოვრა როგორც გერმანელებს. ჩვენ ყველა ვცხოვრობთ ლოზუნგით — ჩვენ მსოფლიოში არავინ არ დაგვეხმარება, თუ ჩვენ, ჩვენს თავს არ დავეხმარეთ. მე ახალახანს ვიყავი განთავისუფლებულ რაიონებში და ჩემზე ორმა რამემ მოახდინა შთაბეჭდილება. სიხარულისა და ენთუზიაზმის გამოხატვა ხშირად მინახავს, მაგრამ აქ მე პირველად ვნახე სიხარულის ცრემლებით სავსე ადამიანების თვალები. იმავდროულად მე ვნახე გამაოგნებელი უბედურება. როცა ინგლისში დაფ კუპერი და ბატონი იდენი ამტკიცებენ, რომ ჩეხების მიმართ უსამართლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ამ ხალხმა თავისი თვალით უნდა ნახოს ის, რაც იქ მოხდა. როგორ შეიძლება სიმართლის ასე დამახინჯება. მე იქ ვნახე შიმშილისაგან სასოწარკვეთილი და დანგრეული მთელი სოფლები და ქალაქები. ჩემო თანამემამულეებო, თქვენ მოგიწევთ ჩვენი ღირსების დაცვა!.. მოგვიანებით ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ 1938 წელი გერმანიისათვის იყო დიდი და პატივსაცემი გერმანელი ნაციის სტატუსის დაბრუნების დასაწყისი“.**

*სამხრეთ ოსეთის გამო საქართველოსთან არსებულ კონფლიქტებზე საუბრისას რუსეთის პრეზიდენტმა ჰიტლერის მსგავსი რიტორიკა გამოიყენა. მის მიერ გაკეთებული განცხადებები პრეზიდენტის საიტიდანაა აღებული.*

*„ჩვენ უბრალოდ გვინდა, რომ ჩვენ პატივს გვცემდნენ. პატივს სცემდნენ ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს ხალხს, ჩვენს ფასეულობებს... ახლა სამხრეთ ოსეთში კვდებიან მშვიდობიანი ადამიანები, ქალები, ბავშვები, მოხუცები და მათი უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისა და ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად მე როგორც რუსეთის პრეზიდენტი ვალდებული ვარ დავიცვა რუსეთის მოქალაქეების ღირსება, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი“.*

იხ. 4 გვ.

თვალსაზრისი

# მორიგი სამოქალაქო ომი?

მოჰყვება „ტელესახეთა წასვლაც“ ასპარეზიდან, რადგან ახალი ხელისუფლება ახალ სახეებს საჭიროებს. მაგრამ ამ ინტერესთა კონფლიქტზე ცდილობენ ნაკლები ისაუბრონ და ელექტრონულ მედიაში შექმნილი ვითარება მხოლოდ ხელისუფლების ან „მეპატრონეთა“ ზეწოლით ახსნან, რაც საკითხის გაუბრალოებაა.

ყველაზე სერიოზული ფაქტორი, რომელსაც ხელისუფლება ამჟამად ითვალისწინებს, არის ნინო ბურჯანაძე, რადგან პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს აქვს როგორც სახელისუფლებო, ასევე პოლიტიკური ქარიზმა. შესაბამისად, რასაკვირველია, დასაყრდენიც ელიტებში “ თუნდაც ეს დასაყრდენი ჯერ ხილული არ იყოს. თავად ქალბატონ ბურჯანაძეს, რომელმაც დიდწილად შექმნა დღევანდელი ხელისუფლება, განახორციელა მისი პოსტრევოლუციური ლეგიტიმაცია, როგორც ჩანს მიაჩნია, რომ ამ ხელისუფლებაში 4-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ორი თვით ადრე თანამდებობაზე „ნებაყოფლობით“ უარის თქმა, მას აძლევს უფლებას „დასვას კითხვები“ იმ გრძელვადიანი პოლიტიკის შედეგთა თაობაზე, რომლის შემუშავება “ განხორციელებაში თანაბრად მონაწილეობდა.

BBC-თან ინტერვიუში პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი თხოვნით, ერთ-ერთმა რესპექტაბელურმა ამერიკულმა კომპანიამ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის თანახმად, სექტემბრისათვის პრეზიდენტის რეიტინგმა 76 პროცენტს მიაღწია, ხოლო ნინო ბურჯანაძის რეიტინგი (მის მიერ გაკეთებული მწვავე განცხადებების შემდეგძ 38 პროცენტიდან - 30 პროცენტამდე დაეცა. ამ ციფრებში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თუ გამოკითხვა მხოლოდ ამ ორი პოლიტიკოსის რეიტინგთა შედარებას არ ეხებოდა (ძალზე საეჭვოა ასე ყოფილიყო, რაკი სერიოზული სოციოლოგიური კომპანიები მხოლოდ მთელი სოციალური და პოლიტიკური სპექტრის გამოკვლევას აწარმოებენძ მაშინ გამოდის, რომ მიხეილ სააკაშვილისა და ნინო ბურჯანაძის რეიტინგი არც ერთ სხვა ფიგურას ჩვენს პოლიტიკურ ლანდშაფტზე არათუ რაიმე წარმატების, არამედ სერიოზული აქტივობის არანაირ შანსს არ უტოვებს.

სხვა კანდიდატები რეალურად არათუ არ განიხილებიან, არამედ ამომრჩეველმა მათი არსებობაც აღარ უწყის. მათ შორის ის ფიგურები (მაგალითად, ირაკლი ალასანიაძ, რომლებიც ექსპერტულ და ჟურნალისტურ დონეზე აქტიურად ჩანან. ეს კი თავისთავად ქმნის „ორპოლუსიანი“ სპექტრის წარმოშობის ალბათობას და ნორმალურ ვითარებაში „ორპარტიული სისტემის“ ჩამოყალიბების წინაპირობაც გახდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი სისტემისთვის ელიტები იქნებოდნენ მზად. ქართული ტრადიცია კი ხელისუფლებათა (და ელიტათაძ ნორმალური ცვლის მაგალითს არ იცნობს: ხელისუფლებას და მის დასაყრდენ სოციალურ ფენას ყოველთვის აქვთ შიში, რომ ახალი ხელისუფლება მათ გაასამართლებს და წყენათა გამო შურს იძიებს.

თუ ქართველი პოლიტიკოსების „ვნებიანობას“ გავითვალისწინებთ (რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში არაერთგზის დადასტურდაძ ეს შიში უსაფუძვლო სულაც არ არის “ შესაბამისად, უდიდესი გულუბრყვილობაა იმის მოლოდინი, რომ ვინმე ნებაყოფლობით დათმობს საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებს და „მოუშვებს“ იმ „საქანჩებს“, რომლებიც წყენისა და ბოღმის ნიაღვარს აკავებენ.

რასაკვირველია, არც ერთი ჭკუათმყოფელი პოლიტიკოსი ამას არ გააკეთებს და ასევე ჭკუათმყოფელმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა მას არც უნდა მოსთხოვონ. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ გარანტიებზე არ შეუთანხმდებიან. მით უმეტეს, რომ ჩვენში ყველას აქვს პასუხი კითხვაზე „ვინ“ (რასაკვირველია „მე!!!“ძ მაგრამ არავინ პასუხობს კითხვაზე „რატომ“ და „რისთვის?!“. თუ მხოლოდ აგვისტოს მოვლენებზე საუბარი, მაშინ უდავოა, რომ ეს მოვლენები არა კონკრეტული პოლიტიკოსის შეცდომათა, არამედ გრძელვადიანი პოლიტიკის შედეგი გახდა და ამ პოლიტიკის ფარგლებში აბსოლუტურად გარდაუვალი იყო; ძველი ანდაზის შესაბამისად კი „ფონში ცხენებს არ ცვლიან“, რაკი ეს მხოლოდ ახალ პრობლემებს შექმნის და „უარესის“ საფრთხეს შეიცავს.

**ნიკა ვაშაკიძე**
**ჯი-ეიჩ-ენი**

ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ

# თუ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო

## „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს

პატივცემულო რედაქტორო,

თქვენი გაზეთის ბოლო ნომრებში გამოქვეყნდა ბატონ ნაპო მესხიას მიმართვა ჩემს სახელზე.

წინასწარ გეტყვით: არც გაზეთის, არც ავტორის მიმართ პრეტენზიებს არ გამოვთქვამ, თუ კითხვა იბადება – პასუხი უნდა გაეცეს. თუმცა ბოლო წლებში, როგორც „მემუარებში", ისე პრესის მეშვეობით ვცდილობდი, შესაძლებლობის ფარგლებში, მეპასუხა ანალოგიურ კითხვებზე (რამდენად გამომივიდა, ეს სხვა საკითხიაძ.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ბატონ ნაპოს ეს კითხვები დაესვა მანამ, სანამ ჯაბა იოსელიანი და ავთანდილ იოსელიანი წავიდოდნენ ამ ქვეყნიდან.

აქვე მინდა განვაცხადო, რომ აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებით, ჩემ პასუხისმგებლობას არასდროს უარვყოფდი.

ამჯერად, კონკრეტულად მხოლოდ 2-3 საკითხს შევეხები.

პირველი: რატომ შევიდა ქართული ჯარი აფხაზეთში? ეს მოხდა მაშინ, როცა მე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი და მთავარსარდალი (ფაქტიურად მთავარსარდალი იყო ის, ვინც რეალურად ხელმძღვანელობდა მაშინდელ შეიარაღებულ ძალებსძ.

საქმე ის არის, რომ მაშინ ფუნქციონირებდა მატარებელი სოჭი-სოხუმი-თბილისი, რომელსაც ბანდიტები სისტემატურად ძარცვავდნენ (მახსოვს, ზარალმა ფულის მაშინდელი კურსით 9 მილიარდი მანეთი შეადგინაძ.

ეს ძირითადად რუსეთის ტვირთები იყო. გაჩნდა რეალური საფრთხე, რომ ამ ყოველის ანაზღაურება საქართველოს დაეკისრება.

სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გამოვაცხადე, რომ მატარებლების ძარცვა უნდა შეწყდეს, თანაც ამ პრობლემას პოლიცია თავს ვერ მოაბამს და საჭირო იქნება საქმეში შეიარაღებული ძალების ჩართვა. ჩემი მაშინდელი წინადადებით, მატარებლების გასაცილებლად უნდა შექმნილიყო სამი პუნქტი (სამტრედიის რაიონში, სოხუმში, მაგრამ არა ქალაქში, არამედ ერთ-ერთ სოფელში და ლესელიძეშიძ.

როგორც ზემოთ ვთქვი, პოლიციის მონაწილეობას რეალურად გამოვრიცხავდი. სხვათა შორის, ეს თემა შევათანხმე ბატონ არძინბასთან, რომელსაც შევთავაზე, აფხაზეთსაც მიეღო მონაწილეობა ამ აქციაში, რაზეც არძინბამ თანხმობა განაცხადა, თან მთხოვა ვინმე ჩამოსულიყო სოხუმში გეგმის დეტალებზე მასთან სასაუბროდ.

პირველი, ვინც სოხუმში ჩავიდა, არძინბასთან ჩემი საუბრის მეორე თუ მესამე დღეს, გახლდათ ბატონი თენგიზ სიგუა, რომელსაც არძინბა არ შეხვდა. თენგიზ კიტოვანი, რომელიც ასევე იცნობდა ამ მოსაზრებას, იმყოფებოდა ახალციხეში და, როცა მან თავისი საქმეები მოათავა, (იარაღი უნდა მიეღო რუსეთის ერთ-ერთი ბაზიდანძ, შევიდა აფხაზეთში, მაგრამ მის შესვლამდე გალსა და ოჩამჩირეში გამოჩნდა ქართული პოლიციის რამდენიმე რაზმი (რასაც ჩემი გეგმა არ ითვალისწინებდაძ. და სწორედ პოლიციის შესვლას მოჰყვა პირველი შეტაკება ქართველ პოლიციასა და აფხაზებს შორის. როგორც მახსოვს, ერთი ადამიანი დაილუპა და ერთიც დაიჭრა.

ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში აფხაზეთში, სოხუმთან გამოჩნდა ქართული გვარდია თენგიზ კიტოვანის მეთაურობით, რომელიც სოხუმის მახლობლად დაბანაკებულა.

სხვათა შორის, სოხუმის რაიონში გვარდიის გამოჩენასთან დაკავშირებით, სოჭიდან დამირეკა ბორის ელცინმა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩემი შეცდომაში შეყვანა უნდოდათ, და გამაფრთხილა, რომ სოხუმში შესვლა არ შეიძლებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ქალაქში იდგა კბილებამდე შეიარაღებული რუსული ბატალიონი, ზღვის მხრიდან საზღვარსაც რუსები იცავდნენ და მათთან შეტაკების შემთხვევაში რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა რუსულ-ქართული ომის დაწყება.

მე დავურეკე ბატონ თენგიზ კიტოვანს და კატეგორიულად ავუკრძალე ქალაქში შესვლა, რა თქმა უნდა, ელცინის ზარის შესახებაც ინფორმაცია მივაწოდე.

საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ მე კიდევ რამდენჯერმე დავრეკე ბატონ თენგიზთან, მაგრამ მან აღარ მიპასუხა, ყურმილს სხვები იღებდნენ და ჩემ გაფრთხილებებს გადასცემდნენ – ყველაფერი ეს ამაო გამოდგა. გვარდია მაინც შევიდა სოხუმში, რაც შემდგომში მართლაც ქართულ-რუსულ ომში გადაიზარდა, რომლის სავალალო შედეგები ყველასთვის ნათელია.

მეორე შემთხვევა მინდა გამოვთქვა ე.წ. „გრაჩოვის გეგმასთან" დაკავშირებით.

გრაჩოვთან შეხვედრა მოხდა ადლერში. მანამდე ის ჩემთან კონტაქტებს თავს არიდებდა. შეხვედრას, ჩემს გარდა, ესწრებოდნენ გია ყარყარაშვილი და ირაკლი ბათიაშვილი.

გრაჩოვმა შემომთავაზა აფხაზეთში მყოფი კონტინგენტის კიდევ 2-3 ათასი კაცით გაზრდა, იმ პირობით, რომ აფხაზეთში „სრულ წესრიგს" დაამყარებდა.

გრაჩოვის წინადადებასთან დაკავშირებით გია ყარყარაშვილმა და ირაკლი ბათიაშვილმა პროტესტი გამოთქვეს და თანამდებობიდან გადადგომა გამოაცხადეს.

გრაჩოვის წინადადების განხორციელებას, რა თქმა უნდა, ანგურს გალმა რუსეთის ჯარის გადმოსვლა და სამეგრელოს აწიოკება მოჰყვებოდა. ეს გააცნობიერეს ჩემმა ახალგაზრდა თანამებრძოლებმა და მათი მწვავე რეაქცია ამის შედეგი იყო.

იმის თქმა მსურს, რომ თუ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო.

სხვათა შორის, მახსოვს სოხუმში შესვლამდე, გია ყარყარაშვილი თავისი ბრიგადით გაგრიდან ფსოუმდე ჩავიდა და მშვიდად დაბრუნდა უკან, არანაირი პრობლემა არ შექმნილა.

ომის დაწყების შემდეგ ბრძოლებში საქართველოს ყველა რაიონი მონაწილეობდა და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ყველა ნორმალური მოქალაქე, გალის რაიონის ჩათვლით, რომლის ბატალიონი სხვებთან ერთად იბრძოდა ბოლო წუთამდე.

გაგრის და ლესელიძის ტრაგედიაზე მე ბევრი რამ დამიწერია. კერძოდ, რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტთან გამართული თათბირის შესახებ (1992 წლის 3 სექტემბერიძ, რომელზეც ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ლიდერი ესწრებოდა, მათ შორის იყო არძინბაც. სწორედ იმ თათბირზე ერთხმად გადაწყდა, რომ ომი აფხაზეთში დამთავრდა, თათბირზე არც კი მოუთხოვიათ, რომ საქართველოს ჯარი აფხაზეთიდან გასულიყო. შედეგი სავალალო აღმოჩნდა და ამაში ბატონ ნაპოს ვეთანხმები.



სხვათა შორის, გაგრის და ლესელიძის დაცვას მაშინ ბატონი ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა და მან დამარწმუნა, რომ მოწინააღმდეგის ჯარის არც ერთი ქვედანაყოფი არ იმყოფება ამ რეგიონში. არ დამეჯერებინა? ასეთ დროს ერთმანეთის წარსულზე აღარ ლაპარაკობენ, მით უმეტეს, ბატონი ჯაბას პატრიოტიზმში (რომელიც თავის მოგონებებში ბევრ არასასიამოვნო რამეს ლაპარაკობს ჩემზეძ არასდროს ეჭვი არ შემპარვია.

რაღაც ვერ ვიხსენებ თქვენ მნიშვნელოვან შეხვედრას აფხაზების ლიდერებთან და შემდეგ თქვენს ტელეფონით მოწოდებულ ინფორმაციას, როცა, თურმე, მე თქვენ ბოლომდე არ მოგისმინეთ და ყურმილი დაგიკიდეთ.

ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია ჩემთან კონტაქტი, ასეთ რამეს არ დაგიჯერებენ, იმიტომ, რომ არასდროს და არავისთან ასეთი რამ არ ჩამიდენია.

ბატონო რედაქტორო, მინდოდა ძალიან მოკლე პასუხი გამომსვლოდა, მაგრამ არ გამომივიდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

კითხვები, ბატონ ნაპოს წერილის მიხედვით კიდევ ბევრია, მაგრამ, როგორც თავადვე მოგახსენეთ, ჩემი ავტორობით გამოქვეყნებულ ლიტერატურაში ყველა მათგანზე პასუხი გაცემულია. მომავალში მზად ვარ ვითანამშრომლო თქვენთან.

პატივისცემით,

**ედუარდ შევარდნაძე**
27.09.2009წ.



არაფერია მზის ქვეშ ახალი

# ბორის სოკოლოვი: წაგლეჯვა სუდეტურად

(მესამე გვერდიდან)

9 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტი ამტკიცებს – „სამხრეთ ოსეთში რუსეთის ამოცანა ჰუმანიტარული კატასტროფის შედეგების დაძლევაა". მეორე დღეს პრემიერ-მინისტრი პუტინი პრეზიდენტს აწვდის ინფორმაციას (ან მითითებას) სამხრეთ ოსეთში მისი ვიზიტის შესახებ: „გულწრფელად ვამბობ, ძალიან მძიმე განცდებში ვარ. უპირველეს ყოვლისა, ადამიანები რთულ ცხოვრებისეულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ეს ძირითადად ქალები, ასაკოვანი ხალხი და ბავშვებია. მათ მრავალი ტრაგედია გადაიტანეს. მათ ახლა უჭირთ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მათ მიერ მონათხრობი საომარო მოქმედებების ეპიზოდები. ის რაც მათგან მოვისმინე, სამხედრო მოქმედებების წარმოების ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ჩემი აზრით, ადგილი აქვს ოსი ხალხის წინააღმდეგ რაღაც გენოციდის ელემენტების მსგავს მოვლენებს. დიმიტრი ანატოლის ძევ, იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ძირითადად რუსეთის მოქალაქეები არიან, თუ თქვენ დაავალებთ სამხედრო პროკურატურას განხორციელებული მოქმედებების დოკუმენტირებას... ის, რაც დღეს მე დევნილებისაგან მოვისმინე, ეს რა თქმა უნდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი აშკარა დანაშაულია. მნიშვნელოვნად დაზიანებულია ცხინვალისა და მის ახლოს მდებარე დასახლებების საცხოვრებელი ფართის ფონდი, იქ პრაქტუკულად ყველაფერი განადგურებულია".

თვალში საცემია ის, თუ როგორ უთითებს პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს მან. ის უყოყმანოდ თანხმდება. პუტინს ისეთივე შთაბეჭდილებები აქვს, როგორც სუდეტის მონახულების შემდეგ ჰიტლერს, სადაც სხვათა შორის სერიოზულ ნგრევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან საბრძოლო მოქმედებები პრალის მთავრობას არ უწარმოებია. პრემიერ-მინისტრს არ ჩამორჩა პრეზიდენტიც, რომელმაც საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელს ბასტრიკინს უთხრა – „ის მონაცემები, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, იმაზე მეტყველებს, რომ ჩადენილია უმძიმესი დანაშაული: ხალხს კლავდნენ, წვავდნენ, ტანკებით ანადგურებდნენ, ყელს ჭრიდნენ."

დიმიტრი მედვედევს მიუნხენის შეთანხმების იუბილის წინ არ დავიწყებია 70 წლის წინანდელი მოვლენის გახსენებაც: **„რუსეთი ისტორიულად კავკასიელი ხალხების უსაფრთხოების გარანტორია. ეს ჩვენი მისია და ვალია. ჩვენ ამ რეგიონში არასდროს არ ვიყავით პასიური დამკვირებელი და არც არასოდეს არ ვიქნებით. საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებით, რომელმაც აგრესიული მოქმედებები დაიწყო, მე ვაცხადებდი, ჩვენ მათ წინაალმდეგ გაეროს წესდებით გათვალისწინებულ, მშვიდობის იძულების ტაქტიკას გამოვიყენებთ. ასეთი ტაქტიკის გამოყენებას აბსოლუტურად ეფექტიანად და შესაძლებლად მივიჩნევთ.** შეგახსენებთ, რომ ისტორიაში იყო აგრესორის დაშოშმინების მაგალითები. სხვათა შორის ამით იყვნენ დაკავებული დასავლეთის ქვეყნები 70 წლის წინათ. თქვენ იცით ეს რა ტრაგედიით დასრულდა. **მე მხედველობაში უპირველეს ყოვლისა მაქვს 1938 წლის მიუნხენის ხელშეკრულების გაკვეთილები. ყველაფერი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული და ჩვენს ძალებშია, ჩვენ გავაკეთებთ. რუსეთი თავის თანამემამულეებს განსაცდელში არ დატოვებს და შეეცდება სიტუაციის ნორმალიზაციას".**

რუსეთის პრეზიდენტი არც დაფიქრებულა იმაზე, რომ **ნებსით თუ უნებლიეთ მან თავისი მოქმედებები სუდეტის კრიზისის დროს ჰიტლერის მოქმედებას შეადარა.** ფაქტობრივად მან აღიარა, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ანექსია 8 აგვისტომდე ბევრად ადრე რუსეთის მიერ განხორციელებული უკვე იყო. სამხრეთ ოსეთში წარმატებული ოპერაციის ჩატარებისათვის სამხედრომოსამსახურეების დაჯილდოვებისას მედვედევმა თქვა, რომ „თავისი მოქალაქეების დასაცავად რუსეთმა უკანასკნელ წლებში პირველად, თავისი მოქალაქეები გარედან თავდასხმისაგან დაიცვა". გამოდის, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე სამხრეთ ოსეთს რუსეთის ტერიტორიად და არა საქართველოს ნაწილად განიხილავდა.

პრეზიდენტმა მედვედევმა ისიც კი ბრძანა, რომ **„ისტორიაში არ მოიძებნება იმის მაგალითები, რომ რუსეთის სახელმწიფოს, საბჭოთა სახელმწოფოს და რუსეთის თანამედროვე სახელმწიფოს პირველს დაეწყოს სამხედრო მოქმედებები".** *ეს მაშინ, როცა მარტო საბჭოთა კავშირს შეიძლება გაუხსენო აგრესიის უდავო აქტები: 1939-1940 წლებში ფინეთის წინააღმდეგ, 1956 წელს უნგრეთში, ხოლო 1979 წელს ავღანეთში შეჭრა.*

რუსეთისა და საქართველოს შესარიგებლად მოსკოვში ჩამოსულ საფრანგეთის პრეზიდენტს მედვედევმა ფამილიალურად განუცხადა: „ნიკოლა, შენ სწორად მოიქეცი, რომ ჩამოდი. მე შენ გუშინ სატელეფონო საუბრისას გითხარი, მხოლოდ ის აღწევს წარმატებას, ვინც აქტიურ პოზიციას იკავებს". სუდეტის კრიზის დროს ჰიტლერსაც „აქტიურ პოზიცია ეკავა." თუმცა მისთვის და სუდეტელი გერმანელებისათვის მოგება მოკლევადიანი აღმოჩნდა. სუდეტელი გერმანელებისათვის ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა. **ომის დასრულების შემდეგ სუდეტელი გერმანელები სუდეტიდან გერმანიაში ძალის გამოყენებით იქნენ დეპორტირებული.**

კიდევ უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა აგრესორის მიმართ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ წარმოებული დათმობების პოლიტიკა, რომლის კულმინაცია იყო მიუნხენი. მიუნხენის შეთანხმებამ ჰიტლერს მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის ხელფეხი გაუხსნა. თუმცა ამაში თავისი არანაკლები როლი **სტალინმაც** შეასრულა.

ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ევროპა დღეს, 70 წლის წინანდელ შეცდომას არ დაუშვებს.

**მასალა მოამზადა**
**კობა ბენდელიანმა**

მოულოდნელი რაკურსით





# თუ მიშას „დაერხა“...

## რატომ გაიმეტა ეროსიმ პატრონი და რას ნანობს „დიდი სამეულის“ ყოფილი „მაყურებელი“

**ცხინვალის სამდღიან ომში განცდილმა „საამაყო“ მარცხმა ნაცმოძრაობის რიგებში სერიოზული ბზარები წარმოშვა. მეტიც, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „ნაცმოძრაობელი“ და როგორც თვითონ ამბობს, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ბურჯი და მთავარი ორგანიზატორი ეროსი კიწმარიშვილი სულ სხვა ხმაზე „აჟღურტულდა“ და აქამდე თუ სააკაშვილის „თანამზრახველის რეპუტაციით სარგებლობდა“, ახლა უკვე მის პოლიტიკურ „მესაფლავედ“ მოგვევლინა.**

საინტერესოა, რა მოხდა სინამდვილეში, რატომ განუდგა კითხვაა... რატომ უნდა დაუჯეროს საზოგადოებამ ადამიანს, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში (რაც ეს ხელისუფლება მოვიდა ან მოდიოდა) უშუალო მონაწილე და თანამზრახველი იყო იმ პროცესებისა, რომელსაც ახლა აკრიტიკებს და ცდილობს სხვას გადააბრალოს!... ან თუ მართლა სინანულის გრძნობა ალაპარაკებს ბატონ კიწმარიშვილს, ნუთუ კიდევ სურს, რომ პოლიტიკაში დარჩეს, ნუთუ არ იცის, რომ „ბოდიში“ და „სინანული“ ყოველთვის არ არის „ცოდვის“ გამოსასყიდი?!

მან „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში მედიის თავისუფლებაზეც ისაუბრა და თქვა: **ტელევიზორს რომ ვუყურებ,** ფიქრდებით, ერთ ლოგიკურ დასკვნამდე მივალთ – ინტერვიუში კიწმარიშვილი ამბობს: **ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჟვანიამ, ბურჯანაძემ და სააკაშვილმა ძალაუფლება თანაბრად გაინაწილეს, მე კი მათი „ზედამხედველის“ ფუნქცია დამეკისრაო. შემდეგ პროცესები ისე წავიდა, რომ ჟვანიას და ბურჯანაძის ძალაუფლების ნაწილიც სააკაშვილმა მიითვისაო...** საკუთარ თავზე კი არაფერს ამბობს... შემდეგ უკვე ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე იწყებს საუბარს და რამდენიმე „მინიშნებასაც“ აკეთებს... მოკლედ ეს მიმოხილვა პირდაპირ იმას ცხადყოფს, რომ **კიწმარიშვილს, როგორც „დიდი სამეულის მაყურებელს“** (**ბურჯანაძე, ჟვანია, სააკაშვილი**) **შეუძლია ნათელი მოჰფინოს საზოგადოებისთვის დღემდე ბნელით მოცულ უამრავ მკვლელობებსა თუ „უბედურ შემთხვევებს“, უამრავ ფაქტს, რომლებმაც შეიძლება დააჩქაროს ხელისუფლების აღსასრული, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ კიწმარიშვილიც ამ ხელისუფლების „თანამზრახველი“ იყო და მიშას თუ „დაერხევა“, ეგრევე „დაერხევა“ ეროსისაც... ეს თავადაც კარგად იცის და ამიტომ ჯერჯერობით თავს იკავებს მთავარი „საიდუმლოების“ გახმაურებაზე, თუმცა ის, რაც „კვირის პალიტრაში“ დაიწერა, საკმაოდ აღმაშფოთებელი იყო...**

ეროსი მიშას და მაინც და მაინც ახლა, როცა ხელისუფლების რეიტინგი მინიმუმის ზღვარს უახლოვდება, რატომ გაიმეტა „ძველი მეგობარი“ მკაცრი განცხადებებისთვის?

ამ რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა ე. კიწმარიშვილის ინტერვიუ, სადაც მან მკაცრად გააკრიტიკა სააკაშვილი და აღნიშნა, რომ თავისი ადგილი „ამ ხელისუფლების გვერდით არ არის“... კეთილი და პატიოსანი, ჩავთვალოთ, რომ პატივცემული ეროსი საზოგადოებას აღსარებას ეუბნება და პატიებას ითხოვს, მაგრამ საკითხავია– არის კი ეს „აღსარება“ გულწრფელი?! ეს ლოგიკური **აბსოლუტურ ვაკუუმში ვარო. საინტერესოა, როდის აქეთ აქვს ღრმად პატივცემულ ეროსის ინფორმაციული ვაკუუმის განცდა? ნუთუ მაშინაც ჰქონდა, როცა „რუსთავი 2“-ს ჯერ გამარჯვებული ხალხის, შემდეგ კი ხალხზე გამარჯვებული ტელევიზია უწოდეს? „რატომღაც“ მეეჭვება ასე ყოფილიყო, იმიტომ რომ მაშინ ინტერვიუებში ის არავითარ ინფორმაციულ ვაკუუმზე არ საუბრობდა და არც ხელისუფლებას იხსენიებდა უდიერად.**

მაშ, კითხვას ვიმეორებ, რა მოხდა სინამდვილეში. რატომ განაწყენდა ეროსი ნაცმოძრაობაზე? გადაწყვეტით რამის თქმა ძნელია, მაგრამ თუ დავ-

სხვათა შორის, ამ ინტერვიუს გამოქვეყნებისთანავე ბატონ ეროსისთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ ამაოდ, ტელეფონს არავინ პასუხობდა, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ საზღვარგარეთ ყოფილა წასული... არ ვიცი, წასული კი არა, შეიძლება გაქცეულიც იყოს, მიზეზი ნამდვილად აქვს! – მან პრეზიდენტზე ისეთი „რამეები“ ილაპარაკა, გამორიცხული არ არის, ერთ მშვენიერ დღეს სახლის ალაყაფთან ქილერიც ჩაუსაფრონ... ბოლოს და ბოლოს მან ცხინვალის ომშიც სააკაშვილი დაადანაშაულა: **ჟვანია ან ბურჯანაძე რომ ყოფილიყო, სისხლისღვრა არ მოხდებოდაო...** „სიამოვნებით“ დავუსვამდი ბატონ ეროსის ერთ კითხვას: იყო დრო, ჟვანიაც ხელისუფლებაში იყო, ბურჯანაძეც და თქვენც, მაგრამ რა მივიღეთ?! რა გააკეთა ქვეყნისთვის ან ერთმა ან მეორემ? პასუხს მევე გავცემ – არაფერი... ჰოდა, ნუ ვიცით ხოლმე სიკვდილისა თუ პოლიტიკიდან წასვლის მერე ადამიანების „გაფეტიშება“! ყველას კარგად მოგვეხსენება, ვინ რას წარმოადგენდა და რა მიზნებს ემსახურებოდა. ასე რომ, **საზოგადოება უგუნური ნუ გგონიათ და თვალში ნაცარს ნუ აყრით, თორემ ცრუპენტელა პოლიტიკოსთა „სამარე“ ბევრჯერ გათხრილა და გაითხრება კიდეც ხალხის მიერ...**

**ჯაბა ჟვანია**

ინფორმაცია

### საფრანგეთი საგანგებო სესიის ჩატარებას ითხოვენ

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საფრანგეთის დელეგაცია აპირებს დასვას საკითხი, ასამბლეის საგანგებო სესიის ჩატარების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.**

ამის შესახებ ნათქვამია საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ჟან კლოდ მინიონის განცხადებაში. ჟან კლოდ მინიონის თქმით, ასეთი სესიის ჩატარების საშუალებას ასამბლეის რეგლამენტი იძლევა.

როგორც ჟურნალისტებს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა, რუსეთისთვის ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იანვრამდე გადაიდო. “იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება გადაწყვეტილების გადახედვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა და დევნილების დაბრუნება, ამ საკითხს ევროსაბჭო აუცილებლად დაუბრუნდება“, – დასძინა მაჭავარიანმა.

### საგანგებო მდგომარეობა 17 ოქტომბრამდე გაგრძელდება

**ქვეყნის ზოგ რიგ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა 17 ოქტომბრამდე გაგრძელდა. ამის შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტმა გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე ერთხმად მიიღო.**

გადაწყვეტილების მიღებამდე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ კიდევ ერთხელ გამოთქვა იმედი, რომ პარლა-



მენტს მსგავსი გადაწყვეტილების მიღება აღარ მოუწევს და რუსი ოკუპანტები 10 ოქტომბრისთვის ცხინვალისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებს დატოვებენ.

რაც შეეხება აფხაზეთსა და ცხინვალს, აქ საგანგებო მდგომარეობას ოკუპანტების გასვლამდე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი ჩაანაცვლებს, რომელიც პარლამენტმა ჯერჯერობით მხოლოდ პირველი მოსმენით მიიღო.

### ბიწაძის ხალხსაც მიადგნენ?

**სასაზღვრო პოლიცია შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ სანაპირო დაცვის ტექნიკოსის დაკავების ფაქტს მესაზღვრეთა მიზანმიმართულ დევნად აფასებს.**

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ტექნიკოსის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სასაზღვრო პოლიცია უფლებამოსილია განაცხადოს, რომ გენერალური ინსპექციის მიერ გრძელდება სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა მიზანმიმართული დევნა მექრთამეობის მოტივით.

თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გავრცელებული კადრებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ფოთის სანაპირო ბაზის ელექტრო და რადიო გაყვანილობების შემკეთებელს, ხელების გადაგრეხვით ძალით უდებენ ხელში ფულს,– აღნიშნულია სასაზღვრო პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი ბადრი ბიწაძე იმედს გამოთქვამს, რომ შსს-ს ხელმძღვანელობა დაინტერესდება და გამოიძიებს რამდენიმე დღის წინ სანაპირო დაცვის ტექნიკოსის დაკავების ფაქტს.

„ალბათ ხელძღვანელობა დაინტერესდება ამ ფაქტით. არ შეიძლება ხელის გადაგრეხით ჩაუდო მესაზღვრეს ფული, ეს გადაიღო და აჩვენო ტელევიზიით ჩემთვის გაურკვეველია, რატომ ხდება ასეთი ფაქტები“, — განაცხადა ბიწაძემ.

მანვე აღნიშნა, რომ არსებობს ერთეული შემთხვევები, როდესაც გარკვეული ორგანოები ახდენენ მესაზღვრეების პროვოცირებას, რათა მათ ქრთამი აიღონ.

ჯერ ვერ მივედით იმ დონემდე, რომ მესაზღვრეებმა ამ ცდუნებას გაუძლონ. თუმცა, ბოლო ფაქტი, რაც ვნახეთ, ყველაფერს აჭარბებს, — განაცხადა ბიწაძემ.

ამასთან, ბიწაძე აცხადებს, რომ ხელმძღვანელობას აღნიშნული ფაქტის გა-



მოძიების მოთხოვნა არ დასჭირდება და ამ ფაქტით იგი თავადვე დაინტერესდება.

### სასამართლო რეფორმა მთავრობის ახალი ფარსია

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის“ გენერალური მდივანი ეკა ბესელია სასამართლო რეფორმის ახალი ტალღის დაწყებას მორიგ ფარსს უწოდებს და აცხადებს, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სასამართლოების მიერ სამართლიანი გადაწყვეტილებების გამოტანა პრაქტიკულად შეუძლებელია. ბესელიას ამის**



**დასტურად სტუდია „მაესტროს“ საქმე მოჰყავს, რომლის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.**

ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ არის დატყვევებული მართლსმსაჯულება და თავისუფალი მედია პოლიტიკური ხელისუფლების მიერ. ეს ცხადად მიუთითებს თუ რამდენად გულწრფელია ხელისუფლება დემოკრატიის ახალი ტალღის დასაწყებად, — აღნიშნა ბესელიამ.

იგი მიიჩნევს, რომ ასეთი მართვადი და პოლიტიზირებული სასამართლო ხელისუფლება საქართველოში არასდროს ყოფილა. მისი განცხადებით, ამ ყველაფრის აღმასრულებელი პირადად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახლავთ.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია

### ყაზახები ეროვნულ ინტერესებს ვიწრო თვალებით უყურებენ

**აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რთული საკითხია და ყაზახეთი ამ საკითხს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავს. როგორც „იტარ-ტასი" იუწყება, ამის შესახებ ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარატ ტაჟინმა ვაშინგტონში, კარნეგის ფონდში გამოსვლისას განაცხადა.**

**ტაჟინის თქმით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართალში მთავარი პრინციპია.**

**— ჩვენ არ ვაღიარეთ კოსოვო, ასევე არ ვაღიარეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ამ პრობლემას ჩვენი ეროვნული ინტერესების პრიზმიდან ვუყურებთ. ამ მხრივ რუსეთის მხრიდან არანაირი ზეწოლა არ განგვიცდია , — განაცხადა ტაჟინმა.**

**მინისტრმა საქართველოს მიერ განხორციელებულ სამხედრო აქციას სერიოზული პოლიტიკური შეცდომა უწოდა.**

**— მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებული იყო საშინელი იარაღი — რეაქტიული დანადგარი „გრადი", დაიღუპა ასობით ადამიანი. ეს საშინელი ტრაგედია, ადამიანური კატასტროფაა. კონფლიქტით დაზარალებულებს ჩვენ ქართველებად და ოსებად არ ვყოფთ. ჰუმანიტარული დახმარება ქართველებსაც გავუგზავნეთ და ოსებსაც, — განაცხადა ტაჟინმა.**

**მისი თქმით, საქართველოს სტაბილურობა ყაზახეთისთვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი ინვესტორია.**

ინტერპრესნიუსი

### ავტოსაგზაო შემთხვევა ვეჯინთან

**გურჯაანი-თბილისის ცენტრალურ გზაზე სოფელ ვეჯინთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მომხდარი ავარიის შედეგად ერთმანეთს ოთხი ავტომანქანა შეეჯახა.**

**სატვირთო ავტომანქანამ, რომელიც ყურძნით იყო დატვირთული, საავარიო სიტუაცია შექმნა. მძღოლმა ვერ დაიმორჩილა და მანქანა გადატრიალდა.**

**გადაბრუნებულ მანქანას, ჯერ გზაზე მოძრავი მიკროავტობუსი, ხოლო შემდეგ 06-სა და ოპელის მარკის მანქანები შეეჯახა.**

**12 ადამიანი დაშავდა, მათგან სამის მდგომარეობა მძიმეა. სამარშრუტო ტაქსში მყოფი ორი მგზავრი და სატვირთო მანქანის მძღოლი გურჯაანის საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

ჯი-ემ-ენი



## აზრი — სადისკუსიოდ!

# ენა და
## საქართველოში რუსული კულტურით გადაფარვის



***უფალმა ღმერთმა ინება, კაცობრიობა აეშენებინა ერებისა და სახელმწიფოების სახით, ისტორიულად ცივილიზებული დედამიწა მუდამ სახელმწიფოებად იყო დაყოფილი, სახელმწიფოებს ერები ქმნიდნენ და, როგორც ითქვა, კაცობრიობის მთელი ისტორია ერებისა და სახელმწიფოების ისტორიაა, რომელსაც მათი ურთიერთობანი ქმნის. აქედანაც ჩანს, რომ ერები და სახელმწიფოები ღვთის ნებითაა შექმნილი. ქართველი ერის უპირველესი მისია ამჟამად არის, განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, რისთვისაც საჭიროა, რომ იგი ჩამოყალიბდეს ვითარცა თანამედროვე ერი. მან უნდა შეძლოს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საქართველოს საზღვრებს შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეებად, ანუ ერად ჩამოყალიბება. თანამედროვე ერად ჩამოყალიბების შემდეგ კი, როცა ის უკვე მიიღებს თავის სახეს, უფალი ღმერთი მას, ისევე როგორც სხვა ერებს, გამოიყენებს მსოფლიოს ცივილიზაციის მშენებლობის დიად საქმეში. იქამდე კი, როგორც ითქვა, თანამედროვე ერად, ჩამოყალიბება უნდა იყოს საყოველთაო საზრუნავი. ისმის კითხვა, არსებობს თუ არა საშუალებანი ამისა? დიახ, თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილების მსგავსად ორი უმთავრესი მოთხოვნილების შესრულებაა საჭირო. ესენია:***

**1. ქართველი ხალხის შიდა კონსოლიდაციის დაჩქარება;**

**2. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში.**

ჩვენს მეზობელ თურქეთში XX საუკუნის დასაწყისში თურქთა ეროვნული კონსოლიდაციის დასაჩქარებლად იღვწოდა თურქ ინტელიგენტთა საზოგადოება. მათ დაამკვიდრეს თურქულ საზოგადოებაში თანამედროვე ერის ცნება. მალე ეს საზოგადოება გადაიქცა თურქეთის მმართველ პარტიად, რომლის წესდების თანახმად გარკვეული განსხვავებაა იმ ერებს შორის, რომელნიც წარსულში არსებობდნენ და თანამედროვე ერებს შორის. თანამედროვე ერების ჩამოყალიბების პროცესი იწყება ქვეყნის ფეოდალური დანაწევრების დაძლევის, ერთიანი ცენტრალიზებული, ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, ერთიანი საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნითა და შიდაეთნიკური საზღვრის მოშლით. ყოველივე ეს ეთნოჯგუფებსა და ეროვნებებს ერთიან ერად ჰკრავს.

ევროპის სახელმწიფოების მოწყობის სისტემის შესაბამისად თურქეთში რეფორმების გატარებამ საფუძველი შეუქმნა თურქეთის სახელმწიფოს დაარსებას და თურქი ხალხის სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. მსგავსადვე მოხდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია ბულგარელებისა, რუმინელებისა, ბერძნებისა და სხვა ხალხებისა.

ამ კუთხით თუ შევხედავთ, სამწუხაროდ საქართველო (ალბათ ჯერჯერობით) უფრო ემსგავსება კონგლომერატს კონფესიურად, კულტურულად, ლინგვისტურად და, რაც მთავარია, ეთნიკურად ერთმანეთისაგან დაშორებული მოსახლეობისა. აი, სწორედ ამ ხალხების გადაქცევაა საჭირო თანამედროვე ერთიან ერად, ისევე როგორც ეს მოახერხეს ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ ვთქვათ, მაგალითად, აზერბაიჯანელები ქართველ ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი შეინარჩუნებენ შიდა ეთნიკურ თავისთავადობას, მაგრამ საქართველოს თანამედროვე ერის ნაწილად იქცევიან ქართული ენის ცოდნით, საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ აღიარებით, მისი კულტურის მატარებლობით, მის სრულფასოვან მოქალაქეებად გადაქცევით.

რა უშლის ხელს საქართველოს ხალხების ინტეგრაციას? — ერთიანი კულტურის არარსებობა. კულტურა ხალხთა გამაერთიანებელი უდიდესი ძალაა, საფუძველია ერთობისა. სახელმწიფოებრიობასთან, საერთო მოქალაქეობასა და სამართალთან ერთად საერთო ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას სამომავლოდ საქართველოს ერის იერსახე და მისი მთლიანობის ნიშნად იქცეს. საქართველოს ნაციას უნდა ჰქონდეს კულტურული ერთობის განცდა.

**ძველად, XIX საუკუნემდე, ქართული კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. გრიგოლ რობაქიძე თავის „გველის პერანგში" ასეთ ამბავს აღწერს. სპარსეთში — ერთ-ერთ ბაღჩაში ქეიფია, ქართველების სუფრასთან ახლოს სომხებს აქვთ სუფრა გაშლილი, სომხები ქართულად საუბრობენ, ადღეგრძელებენ თამარსა და დავით აღმაშენებელს, ამბობენ „ჩვენი თამარი", „ჩვენი მეფე დავითი", საქართველოს ადიდებენ. ეს კი იქვე მოქეიფე ქართველებს უკვირთ. ნ. მარის სიტყვითაც, XIX საუკუნემდე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ქართული ენა იყო კავკასიის ხალხებისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა. ქართული ენით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს დაღესტნელი დიდოელები და ჭარ-ბელაქნელი (აზერბაიჯანელი) ლეკები, ქართული ენა იცოდნენ ჩეჩენი და ადიღეველი ხალხების დიდებულებმა, საქართველოში მცხოვრებმა მუსულმანების შესაბამისმა ფენებმა.**

სამწუხაროდ, რუსთა 200-წლიანი ბატონობის შედეგად, ამჟამად ქართულმა ენამ და ქართულმა კულტურამ საქართველოშივე დაკარგა ერთაშორისი ურთიერთობის ფუნქცია.

ფაქტობრივად საქართველოში ამჟამად არსებობს რამდენიმე ტოლხარისხოვანი კულტურა. ესაა ქართული, რუსული, სომხური და სხვა ეთნოსების კულტურები. ყველა ისინი, რუსულის გარდა, თავის ეთნოჯგუფებში არსებულ ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენენ. მხოლოდ რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა კულტურებს. მაშასადამე, ქართული კულტურა კი არ ფარავს სრულიად საქართველოს, არამედ უცხო, სხვა ერის კულტურა, როგორც ითქვა, ესაა რუსული კულტურა. შესაბამისად რუსული ენა საქართველოში წარმოადგენს ერთაშორისი ურთიერთობების საშუალებას. ესაა ეროვნული ტრაგედია, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი უდიდესი შემაფერხებელი მიზეზია საქართველოს ხალხების ინტეგრაციისა ერთიან ერ-სახელმწიფოდ (სამწუხაროდ ამ ტრაგედიის განცდა თითქმის არა აქვს ჩვენს საზოგადოებას).

აი, როგორ გადაჭრეს მსგავსი ვითარება ჩვენმა მეზობლებმა. ქემალ ათათურქის და რეფორმატორების მიზანი იყო მოეშორებინათ ოსმალეთის იმპერიული მემკვიდრეობა, რომელიც ხელს უშლიდა თურქეთში მცხოვრები ტომებისა და ხალხების ერთიან ერად კონსოლიდაციას. ამიტომაც მათ თავდაპირველად არა ეკონომიკასა და მრეწველობას მიაპყრეს ყურადღება, არამედ კონსოლიდაციის უპირველეს იარაღს — ენას, კულტურას, ნაციონალიზმს. ოსმალური ენა, ყოფილი იმპერიის, ანუ მმართველი ზედაფენის ენა, განსხვავდებოდა ეროვნული თურქული ენისაგან. ამიტომაც რეფორმატორებმა ყურადღება მიაპყრეს თურქულ ენას, მის განვითარებასა და სახელმწიფოში გავრცელებას, რათა „თურქულ ენას მინიჭებოდა პრიორიტეტი ძველი იმპერიის ენასთან შედარებით. რეფორმატორთა მიერ ოსმალეთის იმპერია განიხილებოდა, ვითარცა კოსმოპოლიტური (არაეროვნული) სახელმწიფო.

ახალ თურქეთში თურქული ენა და კულტურა დაუპირისპირდა ძველ იმპერიულს (ოსმალურს). ერთმანეთს დაუპირისპირდა ოსმალური და თურქული ლიტერატურა, ოსმალური და თურქული მუსიკა, ოსმალური და თურქული მორალი. ფილოსოფია, ეკონომიკური დოქტრინები, ყველაფერი ოსმალური გამოცხადდა კოსმოპოლიტურად, თურქული — ეროვნულად, ნაციონალურად. ასე ყალიბდებოდა თანდათანობით ეროვნულისა და ნაციონალურის გაგება". რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? თურქი ნაციის ჩამოსაყალიბებლად, რათა ის გამკლავებოდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს. „რათა თურქეთს საშუალება მისცემოდა გამკლავებოდა ევროპის მოძალებას, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის მეშვეობით გაძლიერდა, თურქეთის წინაშე უპირატესობა მოიპოვა და გადმოვიდა მის წინააღმდეგ". რა შეიძლება ვისწავლოთ ჩვენი მეზობლის მაგალითით? ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად, ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენის — ქართველი ხალხის კონსოლიდაციის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად საჭიროა წარსულის იმპერიული მემკვიდრეობის დაძლევა, ანუ საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვაა აუცილებელი! თურქეთში, როგორც ითქვა, კოსმოპოლიტურად, ე.ი. არაეროვნულად მიიჩნეოდა ოსმალეთის იმპერიის ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებები, რომელთაც ებრძოდნენ იმით, რომ დაურიდებლად აძევებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროდან და მათ ნაცვლად ამკვიდრებდნენ ეროვნულს. ჩვენში ძველი იმპერიის ენის, ე.ი. რუსულის მიმართ შესაბამისი მიდგომები უნდა შემუშავდეს. ზემოთ მოყვანილი დევიზის პერიფრაზა ალბათ ასეთი უნდა იყოს — „ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რუსულთან შედარებით", იგულისხმება მთელი საქართველოს მოცვა ქართული კულტურით, ენით, ლიტერატურით, მუსიკით, მორალით, ფილოსოფიით, ეკონომიკური დოქტრინებით. ყველაფერი რუსული უნდა გამოცხადდეს იმპერიულ-კოლონიალურ ნაშთად, რომელიც აფერხებს საქართველოს სხვადასხვა ხალხების ინტეგრაციას. ამით არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, რადგანაც სწორედ ეს გზა აქვთ არჩეული ჩვენს ყველა მეზობელ ერს. მაგალითად, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ფრანგული ენისა და კულტურის მომხმარებელმა ზედაფენებმა ნაპოლეონის ომების შემდეგ უარყვეს ფრანგული ვითარცა დამპყრობლის ენა და კულტურა, რომლის ადგილი ნაციონალურმა (რუსულმა) დაიჭირა.

ქართული ენის გავრცელებას ძველ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. **საქართველოდ ის ტერიტორია მიიჩნეოდა, სადაც ქართული ენით ადიდებდნენ უფალს და ქართული ენით ლოცულობდნენ. დღეს მსოფლიოში მსგავსი პრობლემების გადაჭრა დაკისრებული აქვს მასმედიას, მასობრივ კულტურას, ტელევიზიას, განათლების სისტემებს. საყოველთაო განათლება — სკოლები საქართველოში უნდა იყოს ქართულენოვანი, ამის მიღწევა ალბათ ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ტელეპროგრამები საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვანი. არ შეიძლება სახელმწიფო და ქვეყნის მომცველი კერძო ტელეარხები გადასცემდნენ რუსულენოვან ფილმებსა და პროგრამებს, ეს სხვა ქვეყნებში წარმოუდგენელია.**

საქართველოს სამხრეთ რეგიონებში — ესაა ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და სხვა რეგიონებშიც ტელევიზია ძირითადად რუსულენოვანია, ქართული ენა გაძევებულია რუსული, სომხური და აზერბაიჯანული (თურქული) ენებით. თბილისის თვით I სახელმწიფო არხიც კი — რუსულენოვან ფილმებს აჩვენებს არცთუ იშვიათად, როგორც ითქვა, ეს სხვა ქვეყნებში — წარმოუდგენელია. სხვა სფეროშიც თითქმის ასეთი ვითარებაა, გაიარეთ რუსთაველის პროსპექტზე და თქვენ იხილავთ გასა-

აზრი — სადისკუსიოდ!

# საქართველო

## კულტურის ქართული აუცილებლობის შესახებ

ყიდი წიგნების უწყვეტ თაროებს — მაგრამ აი, საოცრება, ესაა ძირითადად რუსულენოვანი წიგნები, საქართველოს არც ერთი, არც სახელმწიფოებრივი და არც კულტურული ფენები ამას არც კი განიცდიან, იმდენადაა გამსჭვალული რუსული კულტურით საქართველოს საზოგადოებრივი სფერო — რუსული ენისა თუ წიგნების ეს ბატონობა შეუმჩნეველიც კი რჩება.

ამის შედეგია ის, რომ არა თუ არაქართული ეთნიკური წარმომავლობის, არამედ თვით ქართველი ბავშვებიც კი საქართველოს ტელევიზიიდან სწავლობენ რუსულ ენას, ითავისებენ რუსულ კულტურას. ამის შედეგად ქართველებისათვის რუსული კულტურა თითქმის მშობლიურად იქცა, რუსული ენისა და კულტურის ათვისების გამო ქართველები რუსეთს თითქმის მშობლიურ ქვეყნად მიიჩნევენ, მიდიან იქ საცხოვრებლად და სამუშაოდ, ადვილად ეგუებიან გარემოს. მილიონი ქართველი რუსეთში ცხოვრობს ან რუსეთზეა საქმიანობით დამოკიდებული, ეს იწვევს მათ სწრაფ ასიმილაცია გარუსებას, მეორე მხრივ, ქართველის მიერ რუსული კულტურის გათავისებით დაზარალდება საქართველოს სახელმწიფო. ამის შედეგი იქნება საქართველოს ვითარცა არშემდგარი კულტურის სახელმწიფოს დაშლა-დანაწილება, რადგანაც ვერ გაავრცელა თავისი ეროვნული კულტურა და ახალ ეპოქაში, თანამედროვე ვითარებაში, ვერ დაიცვა სულიერი ეროვნული ღირებულებები. მართალია, **XX საუკუნეში უფალმა საქართველოს აღუდგინა თავისუფლება, მაგრამ თავისი ჯვარი ვერ მიიტანა ბოლომდე, ვერ ჩამოყალიბდა ნაციად და ამით ვერ გახდა მკვიდრი ამქვეყნიური მომავალი დიდებისა. უფალმა მოგვცა ჩვენი სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა — მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა.**

**რეგიონებში ქართული კულტურის განვრცობა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს აღორძინება ჩვენი ხალხის მოვალეობად და ღირსების საქმედ უნდა იქცეს უფლის შემწეობით.**

**აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:**

გლობალიზაციის საყოველთაო პროცესი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას — კულტურულ და ცნობიერ კავშირს ისტორიულ ფესვებთან. ამ პროცესის შესახვედრად თვით უძლიერესი ერებიც კი ემზადებოდნენ (ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოს დაარსებით, ფეოდალური დანაწევრების დაძლევით, საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნით, ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბებით, შიდაეთნიკური საზღვრების მოშლით).

უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე ქართული ენა და კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. რუსეთის 200-წლიანი (XIX-XX სს) ბატონობის შემდეგ, ამჟამად საქართველოში ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის არა ქართული, არამედ რუსული. ფაქტობრივად რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა ეთნოსების კულტურებს (იგულისხმება აზერბაიჯანული, სომხური, თვით ქართული, ოსური, აფხაზური და სხვა). რუსული ენისა და კულტურის მიერ ქართულის შეზღუდვამ, ამ უკანასკნელს ჩამოართვა ფუნქცია ხალხთა გამაერთიანებლისა, რადგანაც კულტურა მოქალაქეთა მთლიანობის უმთავრესი ნიშანი და ერთობის საფუძველია. კულტურული ერთობის განცდა საქართველოს შვილების (ერის) მთლიანობის ნიშანი იყო ძველად, რაც დღესდღეისობით ჩანაცვლებულია არაეროვნულით (რუსულით), ეს ერთ-ერთი მიზეზია საქართველოს ეთნოსების (ხალხების) შეფერხებული ინტეგრაციისა.



ოშკი

ამ ვითარების გამო აუცილებლად მივიჩნევთ, რომ სამომავლოდ ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში მიენიჭოს პრიორიტეტი რუსულთან შედარებით. იგულისხმება საქართველოს მოცვა ქართული ენით, ლიტერატურით, მუსიკით, ფილოსოფიით, კულტურით, ეკონომიკური დოქტრინებით. სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობა რეალურად უნდა განხორციელდეს.

**აღნიშნულის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო საშუალებების (ტელეხედვის, რადიომაუწყებლობისა და ინტერნეტის) ქართულენოვანებას. ქართულმა ტელეარხებმა ყველა გადაცემა უნდა განახორციელონ სახელმწიფო ენით, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია.** ქართული კულტურისათვის დამამცირებელია, რომ საქართველოს მხარეების უდიდესი ნაწილი — ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთის მთიანეთი, ქვეყნის სხვა ოლქები წარმოადგენს რუსულ და უცხოენოვან ტელე და რადიოსივრცეს და არა ქართულს. თვით თბილისის რადიო და ტელეარხების 30-40% რუსულენოვანია, ქართველი ბავშვები ტელევიზიის საშუალებით სწავლობენ რუსულ ენას, ითვისებენ რუსულ კულტურას, ამის შედეგია ის, რომ რუსეთში სამუშაოდ გასული ასეულათასობით ქართველს უცხო გარემოსთან შეგუება უადვილდება ენის ცოდნის გამო. ამიტომაც ხდება რუსეთში მათი სწრაფი ასიმილაცია, საქართველოს სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილის დაცარიელება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტელე და რადიო დიქტორთა მეტყველებას. მათი საუბარი გასაგები უნდა იყოს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის. არა მხოლოდ თურქეთისა და ირანის მკვიდრ ქართველებს, არამედ თვით საქართველოს მსმენელს უჭირს ტელე და რადიო დიქტორთა უზომოდ აჩქარებული და აქცენტირებული მეტყველების აღქმა, მით უმეტეს, მათი მოსმენა უჭირთ საქართველოში მცხოვრებ იმ აზერბაიჯანელებსა თუ სომხებს, რომელთაც სახელმწიფო ენის ათვისება სურთ.

საქართველო, ვითარცა მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად უნდა შეემზადოს გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებით, შესაბამისად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიზნით, ამჟამად საქართველო არ უნდა დაიყოს კუთხური ნიშნით შექმნილ რეგიონალურ მხარეებად. ამან შეიძლება სამომავლოდ ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეუქმნას. შესაძლოა, ამგვარმა დაყოფამ ხელი შეუწყოს სეპარატისტული ტენდენციების ჩანერგვასა და განვითარებას რეგიონალური ხელისუფლების მხრიდან (მაგალითად ისე, როგორც ეს მოხდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“), ფედერალური მოწყობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს საქართველოსათვის. მით უმეტეს სახიფათოა ამ ნიშნით ჯარის (თუნდაც სარეზერვოსი) ჩამოყალიბება, ასევე სამხარეო პროკურატურებისა, ძალოვანი სტრუქტურებისა და განათლების სისტემისა. ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ საქართველოს ერთიანობას მუდამ ემუქრებოდა თემობრიობა, კუთხურობა, ერთიანი საქართველოს დაშლა-დანაწევრება XV-XVI სს-ში ამ მიზეზით მოხდა — „თემობრიობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დამარცხდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. IV. ნაწ. I. გვ. 191). **ფეოდალიზმის დროისათვის დამახასიათებელი „ქართველი ერის წიაღში არსებული (ტომობრივ-გეოგრაფიული) თემობრივი თავისებურება“ არყევდა საქართველოს მთლიანობას შუა საუკუნეებში. ფეოდალური დანაწევრების ეტაპი უკვე განვლეს გლობალიზაციის მომლოდინე სხვა ქვეყნებმა (მაგ. თურქეთმა, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და სხვა) და ჩამოყალიბდნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად. ამჟამად შუასაუკუნეობრივი სამართლებრივი მოდელის მიხედვით საქართველოს რეგიონებად დაქუცმაცება არის ეთნიკური სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების რეანიმაცია. ეს ძლიერ შეუშლის ხელს ქართველი ერის კონსოლიდაციასა და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების ინტეგრაციას საქართველოს მოქალაქეებად, რაც ასე ძლიერ სურთ ჩვენს იმპერიულ მეზობლებს და აიძულებენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს საქართველო ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბონ,** თუმცა ქართველ ერს ამის სურვილი არ აქვს (ამიტომაც წერდა ჩვენი პოეტი მურმან ლებანიძე „ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად, ვისაც ჩვენი დაყოფა და გათიშვა სწყურია ან ჭკვიანი მტერი არის ან უგნური მოყვარე“).

**გლობალიზაციის პროცესის ღირსეულად შესახვედრად ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, შეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული ენისა და კულტურის გავრცობას.**

მეუფე ანანია ჯაფარიძე,
მანგლისისა და წალკის
მიტროპოლიტი

ინფორმაცია

## ტიმოშენკოს იუშჩენკომ თვითმფრინავი წაართვა

**უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს თვითმფრინავი კიევის „ბორისპოლის“ აეროპორტში ავარიულად დაჯდა, — განუცხადა „რბკ-უკრაინას“ პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა ირინა ვანიკოვამ.**

**თვითმფრინავი ჰაერში დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში იყო. იუშჩენკო ლვოვის ოლქში საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში „ევროპული პარტნიორობა — ღია შესაძლებლობები“ მონაწილეობისთვის მიემგზავრებოდა. შემთხვევის გამო, ვიზიტის პროგრამა შემცირებული იქნება.**

**იუშჩენკო ლვოვში სამთავრობო თვითმფრინავით გაემგზავრა, რის გამოც მოსკოვში წასვლის საშუალება არ მიეცა უკრაინის პრემიერ-მინისტრს იულია ტიმოშენკოს. პრემიერი მოსკოვში გაზის საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გასამართად მიემგზავრებოდა.**

**— სამთავრობო დელეგაციას წაართვეს თვითმფრინავი მოლაპარაკებების ჩაშლის მიზნით, — განაცხადა ტიმოშენკოს პრესმდივანმა მარინა სოროკამ.**

**თავად ტიმოშენკომ ჟურნალისტებს აეროპორტში განუცხადა, რომ შექმნილი ვითარება მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ტიმოშენკოს თქმით, მან ვერ შეძლო უკრაინის პრეზიდენტთან დაკავშირება და აპირებს მოსკოვში სხვა, კერძო თვითმფრინავით გამგზავრებას.**

ინტერპრესნიუსი

## ლუჟკოვი ცხინვალში „მოსკოვსკის“ ააშენებს

**აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ე. წ. დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის შემდეგ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი საქართველოს კუთვნილ მეორე სეპარატისტულ რეგიონს სამაჩაბლოს (ე. წ. სამხრეთ ოსეთი) ეწვია. მოსკოვის მერის სტუმრობით გახარებულმა ცხინვალელმა სეპარატისტებმა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ღონისძიება მოაწყვეს და ლუჟკოვს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის დროშების ფრიალით დახვდნენ.**

**ამას გარდა, ცხინვალის ჩრდილოეთ ნაწილში მიკრორაიონ „მოსკოვსკის“ მშენებლობა იწყება. ოსური მხარის ინფორმაციით, საბოლოო ჯამში ეს იქნება კოტეჯებისაგან შემდგარი დასახლება, რომლესაც თავისი საბავშვო ბაღები, სკოლები და სავაჭრო ცენტრები ექნება.**

**— ამ დასახლებას ჩვენ იმ ადამიანებს ვუშენებთ, რომლებიც საცხოვრებლის გარეშე დარჩნენ. ეს ჩვენი თანაგრძნობის გამოხატულებაა იმ ხალხისადმი, რომლებმაც სააკაშვილისა და მისი რეჟიმის შეტევა საკუთარ თავზე გამოსცადა, — განაცხადა იური ლუჟკოვმა.**

**აღსანიშნავია, რომ ცხინვალში საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად მოსკოვის მთავრობამ 2.5 მილიარდი რუსული რუბლი გამოყო.**

ХО-ЭОВ-ЭНО

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# ვინ დაიწყო ომი?

**ევროკავშირიდან მეთვალყურეების ჩამოსვლით სააშკარაოზე გამოდის ახალი დეტალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რუსეთის მტკიცებას, რომ საქართველო პირველი შეიჭრა სამხრეთ ოსეთში.**

## ვინ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი?

**შეეკითხეთ ცხინვალის მცხოვრებლებს – ამჟამად დანგრეული ქალაქისა, რომელიც საბჭოთა პერიოდში იყო პროვინციის დედაქალაქი, – და ყველა მათგანი გიპასუხებთ „საქართველომ“.**

აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ – სულ რამდენიმე საათის შემდეგ კი გასცა ბრძანება მასობრივი არტილერიული სროლისა და ჯავშანტექნიკის შეტევის შესახებ, რათა დაებრუნებინა ამბოხებული სამხრეთ ოსეთი საქართველოს კონტროლის ქვეშ.

„მადლობა ღმერთს, დროულად მოგვისწრეს რუსებმა, – ამბობს ელენა ხუბლოვა; მისი სიტყვებით იგი გადარჩა იმის წყალობით, რომ დაიმალა სარდაფში. – ქართველები ხოცავდნენ ყველას, ვინც ქუჩაში გამოდიოდა“.

მაგრამ, ერთი რუსეთელი ჟურნალისტის მონაცემებით, ცნობილი გახდა ახალი დეტალები, რომლებიც უპირისპირდებიან მოვლენათა ამ ვერსიას. სააკაშვილმა გასულ კვირას გაეროში გამოსვლის დროს აგრეთვე აღნიშნა პრინციპულად ახალი ვერსია და მოუწოდა – მოეწყოთ მიუკერძოებელი საერთაშორისო გამოკვლევა იმისათვის, რათა „უფრო ნათლად გავიგოთ, როგორ დაიწყო ეს ომი და ვინ დაიწყო იგი“.

შეკითხვის პასუხი – ეს არაწმინდად მეცნიერული ან ისტორიული ეკზერსისებია. რუსი მეთვალყურეების სიტყვებით, პასუხი ამ კითხვაზე გადამწყვეტი იქნება დღევანდელი გაძლიერებული რუსეთის გლობალური იმიჯისათვის. ეს გონივრულად მოაზროვნე – თუმცა ჯერ კიდევ მიმწოლი – ქვეყანაა რეგიონული დანიშნულებისა, რომელიც თავის ფლანგებს იცავს? თუ ეს არის ქვეყანა, რომელიც აღორძინებს საერთაშორისო ამბიციებს და სსრ კავშირის სამხედრო ექსპანსიონიზმს?

სააკაშვილი გაეროში ამტკიცებდა, რომ „საქართველოს თავს დაესხნენ, ვინაიდან ეს არის წარმატებული დემოკრატია“, ის თხოვდა აგრეთვე დასავლეთს მხარი დაუჭიროს ამ ერთი ციცქნა კავკასიურ ქვეყანას ნატოში შესვლისთვის.

„საქართველოს საზოგადოებაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, მთავარი საკითხია ის, თუ როგორ დაიწყო ომი, – განმარტავს არჩილ გეგეშიძე, დამოუკიდებელი „ფონდეიშენ ფორ სტრატეჯიკ ენდ ინტერნეიშნლ სტუდიის“ ექსპერტი. ეს საზოგადოება თბილისშია განთავსებული. – ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, შეიძლებოდა თუ არა ამ კრიზისის თავიდან აცილება“?

## იყო თუ არა საქართველო აგრესორი?

**კრემლი გვარწმუნებს, რომ მოვლენებში ჩაერთო მხოლოდ იმისათვის, რათა მოეგერიებინა ქართული მხრიდან შეტევა და გადაერჩინა სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები, რომლებსაც აქვთ რუსეთის პასპორტები 1992 წლის შეთანხმების შესაბამისად და რომლებიც რუსეთს აკისრებენ სამშვიდობო მისიას ამ რეგიონში. მსოფლიოს დიდი ნაწილი აღიარებს საკვანძო ელემენტებს რუსული ვერსიისა და ძალიან ცოტა ვინმე თუ უარყოფს მას.**

სამხრეთ ოსეთმა, სადაც დაახლოებით 70 ათასი კაცი ცხოვრობს, სსრ კავშირის დაშლის პერიოდში გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა საქართველოსგან.

1992 წელს სამხრეთ ოსეთმა დაამარცხა ქართული ძალები და მიმდინარე წლის ზაფხულამდე როგორღაც არსებობდა რუსეთის პროტექტორატის სახით, რომელსაც არ გააჩნდა შანსი, ყოფილიყო სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებული თვით მოსკოვის მხრიდანაც კი. თუმცა, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ეს ოლქი შედის საქართველოს შემადგენლობაში, რუსი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ საქართველოს მეორე მცდელობა, დაეპყრო სამხრეთ ოსეთი ძალით, საბოლოოდ აუქმებს თბილისის პრეტენზიებს.

აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ახლა რუსეთი ორივე რეგიონში ქმნის მუდმივ სამხედრო ბაზებს.

„უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში რუსეთი აქტიურად ემზადებოდა საქართველოს აგრესიისათვის, ვინაიდან ჩვენი დაზვერვის სამსახურები გვაფრთხილებდნენ, რომ სააკაშვილი ამზადებს თავდასხმას“ სამხრეთ ოსეთზე ან აფხაზეთზე, ამბობს ანდრეი კლიმოვი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საერთაშორისო საკითხებში. კლიმოვმა შეადგინა იმ მოვლენათა დაწვრილებითი ქრონიკა, რამაც გამოიწვია ომი. მისი მონაცემები ცხადყოფენ, რომ რუსეთის 58-ე არმია შევიდა სამხრეთ ოსეთში 8 აგვისტოს შუადღისას, თითქმის ოცი საათის შემდეგ, რაც საქართველოს ჯავშანტექნიკისა და არტილერიის მასირებულმა ძალებმა დაიწყეს ცხინვალის მიმართულებით სროლები.

## თუ რუსეთმა პირველმა დაიწყო შეჭრა?

**„როდესაც ეს მოხდა, ჩვენ არ ვიყავით იმდენად ფხიზლად, როგორც საჭირო იყო, და სააკაშვილმა შეძლო ცხინვალის დანგრევა“, – ამბობს კლიმოვი. მაგრამ სააკაშვილის ვერსია, რომელსაც მხარს უჭერს, როგორც მინიმუმი, ერთი რუსი სამხედრო, სხვაგვარად მოაზროვნე ექსპერტი, ასეთია: საქართველოს პრეზიდენტმა თავისი ძალები სამხრეთ ოსეთში გაგზავნა, რათა შეეჩერებინათ რუსეთის უკვე დაწყებული დიდმასშტაბიანი შეჭრა.**

სააკაშვილი არაერთგზის გვარწმუნებდა, რომ ქართულმა დაზვერვამ დააფიქსირა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის ტანკებისა და სამხედრო მოსამსახურეების დიდი ოდენობა 7 აგვისტოს, მანამდე, სანამ საქართველოს ძალები დაიწყებდნენ ცხინვალზე იერიშს.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არ შეუძლიათ შეამოწმონ მისი მტკიცებანი, განმარტა სააკაშვილმა ამასწინანდელ განცხადებაში, რომელიც აჩვენეს ტელევიზიით, ვინაიდან „მათი თანამგზავრები ძირითადად თავიანთ ობიექტებს მიმართავდნენ ერაყისკენ, ხოლო ის, რაც ხდებოდა დედამიწაზე (საქართველოში), შეუძლებელი იყო დაგვენახა ღრუბლიანი ამინდის გამო.

საქართველოს ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ რუსეთი ამზადებდა ძალოვანი ჯარების დარტყმას ხუთი წლის განმავლობაში – მას შემდეგ, რაც „ვარდების რევოლუციამ“ სააკაშვილის ხელმძღვანელობით გაიყვანა ეს პატარა ქვეყანა იმ გზაზე, რომელსაც მივყავართ ნატოში შესვლამდე. საქართველომ გამოაცხადა თავი ამერიკის შეერთებული შტატების საკვანძო მოკავშირედ ენერგომშემცველებით მდიდარ კასპიისპირა რეგიონში.

ამ არგუმენტებს ფართოდ უჭერენ მხარს ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მაგრამ მოულოდნელი დეტალები გვაცნობა რუსმა ჟურნალისტმა პაველ ფელგენგაუერმა, მოსკოვის დამოუკიდებელი ყოველკვირეული „ნოვაია გაზეტას“ სამხედრო კორესპონდენტმა.

სამხედრო წყაროების მითითებით, ფელგენგაუერი ამტკიცებს: „გადაწყვეტილება, დაეწყოთ საქართველოსთან ომი აგვისტოში, საბოლოოდ მოწონებული იქნა რუსეთის გენერალური შტაბის მიერ აპრილში“, და რუსეთმა დაიწყო მზადება შეჭრისთვის.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ჟურნალისტის სიტყვებით, რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტმა დაიწყო შავი ზღვის ფლოტის ამოქმედებაც.

რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გაგზავნეს აფხაზეთში განსაკუთრებული სახის ჯარები რკინიგზის რემონტისთვის, ხოლო ივლისის ბოლოს 58-ე არმიამ, რომელიც განლაგებულია ვლადიკავკაზში, დაიწყო სამხედრო სწავლება სამხრეთ ოსეთთან საზღვრის მახლობლად. „სინამდვილეში ეს სწავლება იყო ჯარების საბოლოო გადასროლა შეჭრაში მონაწილეობისთვის“, რომელიც დაიწყო ერთი კვირის შემდეგ, ამბობს ფელგენგაუერი.

რუსეთის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ სამხედრო სწავლება მიმდინარეობდა წესისამებრ, ხოლო ყველა ხანგრძლივი მზადებანი ხდებოდა იმისთვის, რომ ქართული ძალებიც, რომლებიც ასევე ივლისში აწარმოებდნენ სამხედრო წვრთნებს, შეიძლება ამზადებდნენ თავდასხმას.

ქართველი ექსპერტების სიტყვებით, სამხრეთ ოსეთის მოკავშირეებმა რუსეთში დაიწყეს „პროვოკაციების“ კამპანია, მათ შორის ქართული სოფლების დაბომბვა და ქართველ პოლიციელებზე თავდასხმა ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. „ცხადი იყო, რომ რუსეთს ომი სურდა, ის ყველაფერზე წავიდა, რათა ჩაეთრია საქართველო ხაფანგში პროვოკაციების გზით“, – ამბობს გეგეშიძე.

მაგრამ ინციდენტების უდიდესი ნაწილისთვის, რომლებსაც ქართველი ექსპერტები ასახელებენ, არის შესაბამისობა „ქართული პროვოკაციების“ ვარაუდებში, მათ შორის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო სამსახურების თანამშრომლებთა დახოცვა და გატაცებანი, რომლებიც დაწვრილებით არის აღწერილი კლიმოვის ქრონიკაში.

## ევაკუაცია თავდასხმის წინა დღეს

**სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება აღიარებს, რომ ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოახდინეს ცხინვალიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილის ევაკუაცია. მიუხედავად რუსეთის მტკიცებისა, რომ ქართულმა ძალებმა მოაწყვეს „გენოციდი“, შემდგომში სამართალდამცავითმა ორგანიზაციებმა შეძლეს დოკუმენტურად დაემტკიცებინათ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა დაღუპვის არაუმეტეს 137 შემთხვევისა, რომელთა უმრავლესობაც, ალბათ, მონაწილეობას ღებულობდა სამხედრო მოქმედებებში.**

„შეიძლება მსოფლიოსთვის ომი მოულოდნელი იყო, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ იგი მზადდებოდა, – ამბობს სტანისლავ ჯიოევი, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენელი. – ჩვენ ვხედავდით, რომ საქართველოს არმია მარშზე იყო და გავიყვანეთ ჩვენი ოჯახები ცხინვალიდან“.

რუსული სამართალდამცავი ორგანიზაციის „მემორიალის“ მონაცემებით, რომლებიც გამოქვეყნდა გასულ კვირას, იგივე მოხდა სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებში საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. „პროქართველი ლიდერები აფრთხილებდნენ სოფლის ყველა მცხოვრებლებს, რათა მათ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები და მათ ჰპირდებოდნენ: როცა ყველაფერი დამთავრდება, შეიძლება უმალვე დაბრუნება“, – ამბობს „მემორიალის“ აქტივისტი ალექსანდრ ჩერკასოვი.

გასულ კვირას სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა თქვა, რომ მსოფლიოს შეუძლია იდავოს ამ თემაზე რამდენიც უნდა, მაგრამ თავად მას აღელვებს მხოლოდ ქვეყნის აღდგენა.

„ჩვენ ვცდილობდით მოგვეპოვებინა დამოუკიდებლობა მშვიდობიანი საშუალებებით, მაგრამ ჩვენმა მეზობელმა ეს არ ისურვა, – ამბობს იგი. – ახლა ჩვენ იგი მოვიპოვეთ და მისი გულისთვის შეიძლება ცხოვრება და შრომა “.

**ფრედ უეირი,**
**ოლგა პოდოლსკაია**

The Christian Science Monitor

# რუსეთის მიერ ანექსირებულები

**ზოგჯერ მაყურებელი სცენარს უკეთ გებულობს, როცა ფილმს ბოლომდე ნახავს. ერთნაირად ჟღერადი ხელშეკრულებები „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც რუსეთმა გააფორმა საქართველოსგან გამოყოფილ რესპუბლიკებთან, ახლებურად წარმოადგენს კავკასიის კონფლიქტს.**

მალე მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, პრეზიდენტმა მედვედევმა დადო ხელშეკრულება თავის „კოლეგებთან“ ბაღაფშთან და კოკოითთან ხელშეწყობის შესახებ აგრესიის შემთხვევაში და დაამტკიცა უფლება სამხედრო კონტინგენტის განთავსების შესახებ (თუმცა, საკითხი შეეხება 3500 რუსი სამხედრო მოსამსახურის განთავსებას).

გასათვალისწინებელია ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავს ენერგეტიკული და სატრანსპორტო სისტემების გაერთიანებას, ერთობლივი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას საფოსტო კავშირგაბმულობის მიმოქცევაში, აგრეთვე ტელეკომუნიკაციების სისტემაში, რუბლის, როგორც საგადასამხდელო ვალუტის, დამტკიცებას და ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობას. საერთაშორისო არენაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს წარმოადგენს რუსეთი. ამას ცოტა რამ თუ აქვს საერთო ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობასთან. ორივე რეგიონი, რომლებიც საერთაშორისო სამართლის პოზიციიდან ჯერ კიდევ საქართველოს ნაწილად ითვლებიან, ფაქტობრივად ანექსირებულია რუსეთის მიერ.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის უწყებებს მისცა მითითება დაამყარონ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კვაზიოფიციალური ურთიერთობა. შეიძლება ამავე დროს მიცემული იქნა დავალებაც, ჩამოყალიბებინათ „ხელშეკრულებანი მეგობრობის შესახებ“. კონფლიქტის ესკალაცია, რომელიც მოხდა საქართველოს სამხედრო მოქმედებათა გამო 7-დან 8 აგვისტოს ღამით, კარგად ჩაეწერა ანექსიის სცენარში. „აგრესორმა საქართველომ“ მისცა რუსებს საბაბი, გაემართლებინათ თავიანთი მოქმედება.

ამ დღეებში გაიმართება გერმანია-რუსეთის სამთავრობო კონსულტაციები და გადაწყდა საგნებისთვის დაერქმიათ თავიანთი სახელები. რუსეთს აშკარად უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მისი მოქმედებანი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მას დუმილით გვერდს არ აუვლიან. უკვე ახლავე უნდა ვაგრძნობინოთ რუსეთს, რომ მან თავისი ოლიმპიური ობიექტები სოჭის ზამთრის ოლიმპიადისთვის განათავსა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან „მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების“ დადების შემდეგ საინტერესოა გავიგოთ, როგორ ეპყრობა რუსეთი ისეთი ქვეყნების სუვერენიტეტს, როგორიცაა საქართველო, რომელიც იმყოფება იმ რეგიონების რიცხვში, სადაც, „მედვედევის პრინციპების თანახმად“, არსებობს რუსეთის პრიორიტეტული ინტერესები.

ჩვენ გვინდა, რომ გერმანიასა და რუსეთს ჰქონდეთ პარტნიორული ურთიერთობა, ამავე დროს ჩვენ გვინდა პარტნიორული ურთიერთობანი რუსეთსა და ევროკავშირს შორისაც.

მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთი უნდა იქცეოდეს როგორც პარტნიორი, და არა, როგორც სუპერსახელმწიფო იმპერიული ბატონ-კაცური ჩვევებით, რომლისაც არ სჭირდება ზრუნვა არც კანონზე და არც უფლებებზე. ნამდვილ პარტნიორობამდე, ალბათ, მოგვიწევს გრძელი გზის გავლა. მანამდე კი რუსეთი უნდა აღვიქვათ ისეთად, როგორიც არის იგი და არა ისეთად, როგორც ჩვენ გვინდა ვიხილოთ იგი.

**რუპრეხტ პოლენცი**

Frankfurter Allgemeine

**აწმყო და პერსპექტივა**

# სიძულვილის ფესვები და „რბილი პოლიტიკის“ შესაძლებლობები



**საქართველოსა და რუსეთს შორის ამჟამინდელი უკიდურესად დაძაბული ურთიერთობების განხილვა, როგორც ჩანს, სხვადასხვა კუთხით შეიძლება, რომელთაგან ერთ-ერთია საზოგადოებრივი ურთიერთობები, ზოგადი წარმოდგენები იმაზე, რაც საზოგადოების კოლექტიურ შეგნებაში საკმაოდ ღრმადაა ფესვგადგმული.**

პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ რუსეთში ქართველების მიმართ გაცილებით უფრო შეურიგებლად არიან განწყობილნი, ვიდრე საქართველოში რუსების მიმართ. ამას თუნდაც გორის სასტიკი დაბომბვები მოწმობს, რომელიც, სხვა თუ არაფერი, იოსებ სტალინის მშობლიური მხარეა. საქმე ის არის, რომ **რუსები ქართველებს ერთგვარად ორმაგი სტანდარტით უდგებიან — ერთ მხრივ ესაა პატივისცემა, მეორეა სიძულვილი,** რომელიც ასე მკაფიოდ გამოჩნდა აგვისტოს იმ ავბედით დღეებში. ქართველი იოსებ სტალინი საბჭოთა კავშირს (გუნებაში, ვთქვათ, რუსეთსძ მისი ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდში მართავდა და, საკმაოდ მკაცრი მოპყრობის მიუხედავად, არა მარტო გადაარჩინა იგი, არამედ არნახულად გაძლიერებული ატომური ხელკეტით შეიარაღებულიც დატოვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ფრანგული „ლე ფიგაროს“ მიმომხილველი ალექსანდრე ადლერი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, იოსებ სტალინი მარტოკა სულაც არ იყო — დიდი როლი სერგო ორჯონიკიძემაც შეასრულა, რომელიც საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის არქიტექტორი იყო, რომლის საქირკველი დღესაც მთლად ბოლომდე მომსპარი არ არის.

აბელ ენუქიძემ დღემდე საათივით აწყობილად მომუშავე კრემლის ადმინისტრაცია შექმნა.

და რაღა თქმა უნდა, ისტორიიდან ვერ ამოშლიან ლავრენტი ბერიას, რომელმაც საბჭოთა კავშირს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი დაზვერვა შეუქმნა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეძლო ატომური ყუმბარის საიდუმლოს მოპოვება, რომელთან სრულიად უსახურ აკადემიკოს კურჩატოვს არაფერი აქვს საერთო და რომელიც ავანსცენაზე დაზვერვის კარგი მუშაობის შესანიღბად გამოიყვანეს.

კავკასიელთა მიმართ სიძულვილმა განსაკუთრებით 1953 წელს ლავრენტი ბერიას დაპატიმრების შემდეგ იჩინა თავი, რომელსაც ქვეყნის დეკოლექტივიზაციის, გერმანიის გაერთიანებისა და სხვა გრანდიოზული გეგმები ჰქონდა. ამდენად, რუსები ქართველებს არა მარტო სტალინის სიმკაცრეს, არამედ ბერიას გაცილებით უფრო ლიბერალურ ჩანაფიქრებს უყენებენ ბრალად.

ევროპის ქვეყნებმა აგვისტოში შეძლეს რუსეთის იმიჯის გადარჩენა, რომელიც აგრესიის გზას დაადგა და ხელი შეუწყეს საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტას, რითაც რუსეთის ხელმძღვანელობის ზომიერ ფრთას დაანახეს, რომ მათი კი ესმით, მაგრამ სისულელეების ჩადენის საშუალებას არ მისცემენ.

მაშ, რატომ მიუგდეს ყური ნიკოლა სარკოზის? უწინარესად იმიტომ, რომ მან თავი ბრწყინვალე დიპლომატად წარმოაჩინა, მეორეც ის, რომ ეფექტიანად შეძლო „რბილი ევროპული ზეგავლენის“ გამოყენება.

პუტინს (და არა მედვედევსძ, შეეძლო ევროპელთა შუამავლობის უგულებელყოფა, მაგრამ მაშინ ხიფათს შეუქმნიდა რუსეთის მიერ შექმნილ ყველა კავშირს, განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის სფეროში, თუმცა ეს, უეჭველად, შეეხებოდა ინგლისის კენსინგატონში შექმნილ ბინებსაც და საფრანგეთის კურშაველში არდადეგებსაც. ამ ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ ევროპას საქართველო-რუსეთის კრიზისის გადაჭრის ორი შესაძლო გამოსავალი გამოუჩინა.

**ოთარ ტურაბელიძე**

**იცნობდით**

# თიანეთი „ჩვენის ეზო“

**დღეს რატომღაც გაჩნდა მოსაზრება თითქოს წიგნმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ამ არასწორ მოსაზრებას სულ მალე მოჰყვა შესაბამისი უწყების ბრძანება, რომლის მიხედვითაც მაქსიმალურად შემცირდა საქალაქო, რაიონული და სასოფლო ბიბლიოთეკების ქსელი. მიზანი, ალბათ, ერთი იყო: წიგნადი ფონდის შემცირება და დანაზოგი სახელფასო „გროშებით“ სახელმწიფო ხაზინის „გამდიდრება“.**

ბრძანება მიიღეს თიანეთის რაიონშიც. ზუსტად ამ პერიოდში რაიონის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორად დაინიშნა ქალბატონი **ლალი ივანაური**. მისთვის რაიონის კულტურული ცხოვრების ავ-კარგი უცხო არ იყო: წლების მანძილზე მუშაობდა როგორც რიგით, ისე ხელმძღვანელ თანამდებობებზე საბავშვო ბაღში, მოსწავლეთა სახლში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სკოლა-ინტერნატში, რაიონის გამგეობაში...

ქალბატონმა ლალიმ ყურადღებით წაიკითხა ბრძანება და გაოცება ვერ დამალა.

— როგორ? — თქვა მან, — ეს ხომ დაცინვაა, რაიონის 56 სოფელს მხოლოდ სამი ბიბლიოთეკა? ორი რაიონულ ცენტრში, ერთი დაბა სიონში! დანარჩენ მოსახლეობას წიგნი არ სჭირდება? საინტერესოა, ვის მოუვიდა ეს მცდარი აზრი.

მან მაშინვე ბუღალტერი იხმო. აღმოჩნდა, რომ სახელფასო ფონდთან ერთად ბიბლიოთეკების რემონტისთვის კიდევ 7000 ლარი იყო გამოყოფილი.

— ერთი-ორი წელიწადი რომ მხოლოდ უბრალო, მიმდინარე რემონტი ჩვენ თვითონ, კულტურის მუშაკებმა ჩავატაროთ და ამისათვის გამოყოფილი თანხით ბიბლიოთეკები აღვადგინოთ, ხელფასები გავცეთ, ვითომ რამ დაშავდება? — იკითხა ქალბატონმა ლალიმ.

— ანგარიში ანგარიშია, თანხა ხომ არ იკარგება, რემონტიც გაკეთდება და რამდენიმე ბიბლიოთეკასაც შევინარჩუნებთ — იყო პასუხი.

სურვილი საქმედ იქცა. 2007 წელს რაიონში დარჩენილ სამ ბიბლიოთეკას ამ გზით ახლად აღდგენილი 7 სასოფლო ბიბლიოთეკაც დაემატა.

ქალბატონი ლალი დარწმუნებული იყო თავისი საკუთარი ნაბიჯების სისწორეში და იმედს არ კარგავდ, რომ ბიბლიოთეკების ასეთ შემცირებებს არც სხვა რაიონებში შეურიგდებოდნენ. მისი ვარაუდი რეალური ალმოჩნდა. მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში კულტურის ცენტრების დირექტორების რესპუბლიკური თათბირი გაიმართა. ლალი ივანაურმა ერთ-ერთმა პირველმა ითხოვა სიტყვა. მან სერიოზულად გააკრიტიკა სამინისტრო ბიბლიოთეკების მასობრივი გაუქმების გამო.

— პირდაპირ გეტყვით, — მიმართა მინისტრს, — რემონტისათვის გამოყოფილი სახსრებით 7 ბიბლიოთეკა აღვადგინეთ.

— რემონტი? — იკითხა მინისტრმა.

— რემონტი თანამშრომლებმა ჩავატარეთ, რაც საჭირო იყო, სახლიდან მოვიტანეთ. მოზრძანდით, თქვენი თვალით ნახეთ.



ლალი ივანაური

თავის გამოსვლაში ლ. ივანაურმა, სხვა საკითხებთან ერთად, რაიონული კულტურის სახლის მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობაზე ილაპარაკა. მას არც კინოდანადგარების შემოტანის საკითხი დავიწყებია და არც ის, რომ მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი დანგრევის პირსაა მისული.

თიანეთის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ თათბირზე სხვებიც გამოვიდნენ. მათ ასევე მკვეთრად გააკრიტიკეს კულტურის სფეროში არსებული ნაკლოვანებები.

— ქალბატონმა ლალი ივანაურმა ჩვენ, სამინისტროს მუშაკებს ერთი რამ ნამდვილად მოგვასწრო, — თქვა თავის შემაჯამებელ სიტყვაში მინისტრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, — მას ფინანსური შიდა რეზერვების უნარიანი გამოყენებით უკვე 7 ბიბლიოთეკა აღუდგენია. ეს საქმე ყველასთვის მისაბაძად უნდა მივიჩნიოთ. ვაღიარებთ, რომ ბიბლიოთეკების მასობრივი გაუქმება არასწორი, ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო. ამიტომ, სამინისტროს ახალი ბრძანება, რომელიც წელს, მარტიდან შევიდა ძალაში, საქართველოს ყველა რეგიონში დამატებით ორ-ორი ბიბლიოთეკის აღდგენას ითვალისწინებს. ხელფასის, ტექნიკის და ინვენტარისთვის გამოიყოფა 4000 ლარი, ხოლო მათი აღდგენისათვის — 8000 ლარი.

დარბაზში ტაშის ხმა გაისმა.

მიიღეს თუ არა სამინისტროს ახალი ბრძანება თიანეთში, ლალი ივანაურს არ შეუსვენია: ორი ბიბლიოთეკის ნაცვლად 4 ბიბლიოთეკა აღადგინა. დღეს თიანეთის რაიონში 14 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, იმ სამის ნაცვლად, რომელიც ერთი წლის წინათ დარჩა. რასაკვირველია, ეს არ მომხდარა თიანეთის გამგებლის ზაზა მაღურაშვილის აქტიური მხარდაჭერის გარეშე.

დასამალი არ არის, რომ ქალბატონ ლალი ივანაურს თიანეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაც სავალალო მდგომარეობაში დახვდა. მისი ინიციატივით მოხდა შენობის სრული რეაბილიტაცია, ხოლო ახლა შეყვანილი იქნა სასმელი წყალი, კანალიზაცია, ტელეფონი და სინათლე. კეთილმოეწყო ბიბლიოთეკის ეზო. თიანელებს ხშირად დაუნახავთ ხელებდაკაპიწებული ქალბატონი ლალი თავის თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც ღებავდნენ, ლესავდნენ...

თიანეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობა რაიონის კულტურული მუშაობის შტაბიც არის. აქ ტარდება თათბირები, ადგენენ გეგმებს, სახავენ მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებს. ცენტრალური ბიბლიოთეკის აქტივშია ჩატარებული საღამოები: „მირზაობა“, „დავითობა“, „ენა დედაა ერისა“, „პატარა გენიოსები“ (ინტელექტუალური თამაშებიძ, „უკვდავებასთან წილნაყარნი“ (9 აპრილიძ, შეხვედრა პოეტებთან — „ლექსო, არ დაიკარგები“ და ა.შ. ყველა ამ ღონისძიების ორგანიზატორი და პატრონი ლალი ივანაურია. ის თვითონაც მონაწილეობს ღონისძიებებში, უშურველად ახმარს დროს, ენერგიას, საკუთარ ფინანსებსაც კი.

არ იქნება, ალბათ, გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ რაიონის არაერთ დაწესებულებაში დაუფარავად ნატრობენ ივანაურისთანა გულიან ხელმძღვანელსა და წინამძღოლს. მათ ისიც სურდათ, რომ ლალი ივანაური საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის პოსტზე ეხილათ, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა... ქალბატონ ლალის ამაზე გული არ გაუტეხია. იგი ჩვეული გულისხმიერებით უძღვება მინდობილ საქმეს და მხარში უდგას რაიონის მუნიციპალიტეტის ახლახან დანიშნულ თავმჯდომარეს გიორგი აბაშვილს. სულ ერთი თვის წინათ შეხვდა რაიონის ახალ ხელმძღვანელს. საუბარი შეეხო დაბა თიანეთში ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების გაპარტახებული პარკის აღდგენას. მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით ამ საქმის გაძღოლა უშუალოდ ქალბატონ ლალის დაევალა.

ალბათ, თიანეთის მოსახლეობა და განსაკუთრებით ისინი, ვინც ამ ზაფხულს დედაქალაქიდან აქ ისვენებდა, თავისი თვალით ნახავდნენ, თუ როგორ აღდგა „მკვდრეთით“ ე. წ. „კუჭანას ბაღი“, რომელმაც კვლავ დაიბრუნა გართობისა და დასვენების საუკეთესო ადგილის სახელი.

ქალბატონ ლალის დიდი ძალისხმევით გარდაიქმნა თიანეთის კულტურის სახლის მუშაობა. შემოიკრიბა ენთუზიასტთა ჯგუფი, რაიონის ბიუჯეტიდან გამოაყოფინა თანხები, რითაც გარემონტდა კულტურის სახლი, შეიქმნა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. ანსამბლების ხელმძღვანელების — შორენა ჩოლაგაურის, ნანა მენთეშაშვილის, სპარტაკ გუშარაშვილისა და კულტურის სახლის დირექტორის ზურაბ ჯიმშიტაშვილის მონდომებამ საამაყო შედეგები მოიტანა. 2007 წელს ამ ანსამბლებმა საქართველოს ფოლკლორის რესპუბლიკური ფესტივალიდან მშობლიურ რაიონს 23 ოქროს მედალი და ლაურეატის საპატიო წოდება მოუპოვეს.

ქალბატონი ლალი თითქოს კმაყოფილი უნდა იყოს თავისი მუშაობით, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის ასე.

— ბევრი რამ გვაკლია, — ამბობს იგი, — რაიონში ერთ კინოდანადგარს ვერ ვეღირსეთ, რომ მოსახლეობას, ახალგაზრდობას თვეში ერთი კინოსურათი ვაჩვენოთ; მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი ლამის ჩვენს თვალწინ დაინგრეს, კულტურის სახლის დარბაზში სკამები დამტვრეულია... არა, ეს ასე არ უნდა გაგრძელდეს, ყველამ ფართოდ უნდა გავახილოთ თვალები: კულტურის რიგითმა მუშაკმაც და მინისტრმაც, ისე საქმე წინ ვერ წავა...

ჭეშმარიტად, რომ ასეა. წარმატება ვუსურვოთ თავისი რაიონისა და ქვეყნის გულშემატკივარ სამი შვილისა და სამი შვილიშვილის აღმზრდელ მანდილოსანს ლალი ივანაურს.



თიანეთის მოცეკვავეთა ანსამბლი „ლაშარი“

**ხვთისავარ არჩემაშვილი.**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**ეროვნული ჩემპიონატის IV ტური.** „ბორჯომი“ – „გაგრა“ 3:2, „სიონი“ – „მესხეთი“ 0:0, „დინამო“ – „ოლიმპი“ 2:1, „ვიტ ჯორჯია“ – „ლოკომოტივი“ 1:2, „მგლები“ – „ცხინვალი“ 2:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“ – 9-9, „დინამო“, „მგლები“, „გაგრა“ – 6-6, „მესხეთი“, „სიონი“ – 5-5, „ზესტაფონი“ – „ბორჯომი“ 4-4, „ოლიმპი“ – 2, „ცხინვალი“ – 0 ქულა.

**ბომბარდირები:** ალექსიძე („ლოკომოტივი“-ძ – 4, ვაწაძე („დინამო“-ძ, თოდუა („მგლები“-ძ – 3-3 გოლი.

**შემდეგი ტური:** „გაგრა“ – „სიონი“ (4 ოქტომბერს-ძ, „ცხინვალი“ – „ბორჯომი“, „ზესტაფონი“ – „დინამო“, „ლოკომოტივი“ – „მგლები“, „ოლიმპი“ – „ვიტ ჯორჯია“. ისვენებს „მესხეთი“.

* * *

**თემურ ქეცბაიამ ყველას დაუმტკიცა, რომ ამას წინათ შემთხვევით არ უთქვამს უარი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობაზე.** კვიპროსის „ანორთოსისის“ თავკაცი კუნძულზე იძენს ფასდაუდებელ გამოცდილებას, იქაური კლუბიდან იხვეჭს საერთაშორისო ავტორიტეტს და როცა საჭიროდ ჩათვლის, მაშინ შეეგმება სამშობლოში უმადურ საქმიანობას.

**გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის II ტურის სრულ შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** „კლუჟი“ – „ჩელსი“ 0:0. „ბორდო“ – „რომა“ 1:3 **გოლები:** გურკუფი; ვუჩინიჩი, ბაპტიშტა (2ძ.

„ჩელსი“, „კლუჟი“ – 4-4, „რომა“ – 3, „ბორდო“ – 0 ქულა.

**22 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ჩელსი“ – „რომა“, „ბორდო“ – „კლუჟი“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ანორთოსისი“ – „პანათინაიკოსი“ 3:1. **გოლები:** სარიები (საკუთარ კარშიძ, დობრაშინოვიჩი, ტაჰერი; სალპიგიდისი (პენალტითძ. „ინტერი-“ – „ვერდერი“ 1:1. **გოლები:** მაიკონი; პიზარო.

„ანორთოსისი“, „ინტერი“ – 4-4, „ვერდერი“ – 2, „პანათინაიკოსი“ – 2 ქულა.

**22 ოქტომბერს ითამაშებენ:** „პანათინაიკოსი“ – „ვერდერი“, „ინტერი“ – „ანორთოსისი“.

**„გ“ ჯგუფი.** „შახტარი“ – „ბარსელონა“ 1:2. **გოლები:** ილსინიო; მესი (2ძ. „სპორტინგი“ – „ბაზელი“ 2:0. **გოლები:** რომანიოლი, დერლეი.

„ბარსელონა“ – 6, „შახტარი“, „სპორტინგი-“ – 3-3, „ბაზელი“ – 0 ქულა.

**22 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ბაზელი“ – „ბარსელონა“, „შახტარი“ – „სპორტინგი“.

**„დ“ ჯგუფი.** „ლივერპული“ – „ეინდჰოვენი“ 3:1. **გოლები:** კიუიტი, კინი, ჯერარდი; კოვერმანსი. „ატლეტიკო“ – „მარსელი-“ 2:1. **გოლები:** აგერო, გარსია; ნიანგი.

„ატლეტიკო“, „ლივერპული“ – 6-6, „ეინდჰოვენი“, „მარსელი“ – 0-0 ქულა.

**22 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ატლეტიკო“ – „ლივერპული“, „ეინდჰოვენი“ – „მარსელი“.

◎ კრიმინალი

# შენც, „ზენიტო“?

**ამ არეულ-დარეულ ეპოქაში სკანდალით ვილას გააკვირვებ, მაგრამ როცა საქმე ევროპის პოპულარულ საკლუბო ტურნირებში კრიმინალთა ბინძური ფულის ტრიალს ეხება, ვფიქრობთ, განსაკუთრებული რეაგირებაა საჭირო.**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სათქმელს პირდაპირ მოგახსენებთ: რუსეთის მოქმედი ჩემპიონი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“, არც მეტი, არც ნაკლები, უეფას თასის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალური (მიუნხენის „ბაიერნთან“ – 4:0ძ და ფინალური („გლაზგო რეინჯერსთან“ – 2:0ძ მატჩების ჩაწყობაშია ეჭვმიტანილი.




მეხი ესპანურ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციით გავარდა, სადაც ჩვენი პირენეელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ იქაურ სამართალდამცავ ორგანოებს ხელში ჩაუვარდათ ერთ-ერთი რუსული კრიმინალური დაჯგუფების ლიდერის გენადი პეტროვისა და მისი უახლოესი თანამოაზრის ლეონიდ ხრისტოფოროვის სატელეფონო საუბრები, სადაც ორივენი ტრაბახობენ მოსაუბრეებთან, „ზენიტისთვის“ გადამწყვეტი შეხვედრები ვიყიდეთო.

სატელეფონო საუბრებში სახელდება 20-დან 40 მილიონ ევრომდე თანხა, რომელიც თითქოს ნახევარფინალში ნევისპირელთათვის სასურველი ანგარიშის დასაფიქსირებლად ბავარიული სუპერკლუბის წარმომადგენლებს გადაეცათ. ამავდროულად სახელდება შეკვეთილი შედეგი – 4:0, რომელიც იმ თამაშში აღინიშნა კიდეც.

გამოცემა „ABC“-ს პუბლიკაციის თანახმად, ესპანურმა პოლიციამ უკვე დაიწყო დასახელებული საქმის გამოძიება. იგივე წყარო იტყობინება, რომ ტამბოვური კრიმინალური დაჯგუფების წევრები ესპანეთში წლეულს 19 ივლისს დააკავეს და მათ უმრავლესობას პირდაპირი კავშირი აქვს რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქთან.

როგორც მოსალოდნელი იყო, პეტერბურგელები კატეგორიულად უარყოფენ სკანდალურ ინფორმაციას და სპეციალურ განცხადებაში აღნიშნავენ, რომ ყველა კანონიერ საშუალებას გამოიყენებენ საკუთარი რეპუტაციისა და, საერთოდ, სპორტის დასაცავად. დაგვეთანხმებით, სხვაგვარი რეაქცია შესაძლო დამნაშავეთაგან წარმოუდგენელიც იყო – სხვა თუ არაფერი, სკანდალში ხომ თვით ამბიციამოძალებული „დერჟავის“ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მშობლიური ქალაქის გუნდი აღმოჩნდა გარეული.

რაც შეეხება უეფას, მისი პრეს-სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ ორგანიზაციის სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს დღეებში შეისწავლის ესპანური პრესის მიერ გავრცელებულ ცნობას და თუკი მიიჩნევს, რომ იგი ყურადღებას იმსახურებს, უეფა სპეციალურ გამოძიებას ჩაატარებს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში უმკაცრესი სასჯელი ემუქრება გარიგების მონაწილე თითოეულ კლუბს, ხოლო გადახედავენ თუ არა უეფას თასის 2007-2008 წლების გათამაშების შედეგებს, უეფას ჩინოვნიკები ამაზე საუბარს ჯერჯერობით ნაადრევად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ თავდაპირველად უნდა დამტკიცდეს აღნიშნული ვერსიის სანდოობა.

◎ ძიუდო

# დაბრუნება „ოქროთი“ აღნიშნა

**გუშინ საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები იაპონიაში გაფრინდა, რათა მსოფლიოს თასის გუნდურ გათამაშებაში მიიღოს მონაწილეობა. 5 ოქტომბერს ამომავალი მზის ქვეყანაში 8 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ: ევროპიდან – ქართველები და რუსები, აზიიდან – იაპონია, კორეა და უზბეკეთი, ასევე, ბრაზილია, ახალი ზელანდია და ალჟირი. ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ ნესტორ ხერგიანი (60 კგძ, მინდია ხომიზური (66ძ, ზაზა კედელაშვილი (73ძ, დავით ქევხიშვილი (81ძ, ვარლამ ლიპარტელიანი (90ძ, ირაკლი ცირეკიძე და ლომერ ჟორჟოლიანი (100ძ, ლაშა გუჯეჯიანი და ნოდარ მეტრეველი (მძიმე წონაძ, მთავარი მწვრთნელი – შოთა ხაბარელი.**



სანამ ეროვნული ნაკრების ძირითადი წევრები ბორჯომში მსოფლიოს თასისთვის ემზადებოდნენ, სათადარიგოებმა როტერდამის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს და წარმატებასაც მიაღწიეს – თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ სამშობლოში.

გვასახელა ზვიად ხანჯალიაშვილმა (მძიმე წონაძ, რომელმაც ნახევარფინალში რუს ანდრეი ვოლკოვს სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი ჰოლანდიელ გრიმ ვუისტერსს დააყრევინა ფარ-ხმალი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ეს გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა, რადგან ხანჯალიაშვილი მძიმე ტრავმის გამო დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ტატამს.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა ლევან წიკლაურმა, რომელმაც ძალების დაუძაბავად დაამარცხა ჰოლანდიელი ნიეკოფი, ლუქსემბურგელი ლეიდერი, ფინელი ვირტა და ფინალში გავიდა, იქ კი მასპინძელ ტეკინთან დათმო პაექრობა. საგულისხმოა, რომ დღევანდელ სამბოში წლევანდელი ევროპის ჩემპიონია და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება.

ამავე წონაში უნდა ესასპარეზა გრიგოლ შინჯიკაშვილს, მაგრამ ზედმეტი კილოგრამების დაკლება ვერ მოახერხა, ამიტომ 90 კილოში სცადა ბედი. საბოლოოდ იგი მესამე ადგილზე გავიდა. როტერდამში კიდევ ორმა ქართველმა ძიუდოისტმა იჭიდავა: ლევან რაზმაძემ (100 კგძ მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე წონაძ პირველივე შეხვედრა წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა. არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მესამეზე გავიდნენ მასპინძლებისა და რუსების შემდეგ.

◎ ინტერნეტიდან

## ტიერი ანრი უკმაყოფილოა



**„ბარსელონაში“ თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა ტიერი ანრი და ამიტომაც, შესაძლოა, ეს კლუბი ზამთარში დატოვოს. „ეს არანორმალურია, რომ დიდ დროს სათადარიგოთა სკამზე ვატარებ, – განუცხადა ანრიმ ფრანგ ჟურნალისტებს, – თუ კი ასე გაგრძელდება, მომიწევს გვარდიოლასთან გუნდის დატოვების თაობაზე ლაპარაკი“.**

ფრანგმა ფეხბურთელმა ასევე აღიარა, რომ როდესაც კატალონიურ გუნდში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო, ფიქრობდა, რომ უფრო მეტს ითამაშებდა, რადგან გვარდიოლა ამბობდა, რომ ანრის იმედი ჰქონდა და არა ეტოოსი. მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა“.

„ჩვენ ნამდვილად გვქონდა საუბარი სეზონის დაწყების წინ, – თქვა გვარდიოლამ, – და მე ვფიქრობდი, რომ ერთმანეთს სწორად გავუგეთ“.

## ლვოვსა თუ დუბაიში?..

**როგორც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის-ფიდე-პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, უახლოეს კვირებში დაასახელებს ქალაქს, სადაც გაიმართება ტოპალოვ-კრამნიკის მატჩი, რომლის საპრიზო ფონდის – 750 ათას დოლარის გარანტიას თავად ილიუმჟინოვი იძლევა.**

მატჩის მასპინძლობის შესაძლო კანდიდატები არიან თითქოს ამაზე უკვე „უარისმთქმელი“ ლვოვი და ფიდეს პრეზიდენტის სასურველი დუბაი.

## ევროპაში საუკეთესო



**ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭოკით ხტომაში ელენა ისინბაევა გამოაცხადეს ევროპის 2008 წლის საუკეთესო მძლეოსნად.** გამოკითხვაში, რომელიც მძლეოსნობის ევროპის ასოციაციამ მოაწყო, ელენამ დამაჯერებლად დაჯაბნა პეკინის ოლიმპიადის ტრიუმფატორი, ჩეხი შუბის მტყორცნელი ბარბორა შპოტაკოვა და იმავე პეკინში სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული ბელგიელი თია ელებო.

## თაყვანისმცემლების გასახარად

**სახელგანთქმული ამერიკელი მოდელი მარიზა მილერი ამშვენებს 2009 წლის კალენდარს, ჟურნალმა Sports illustrated რომ გამოსცა. ქალიშვილი სიხარულით დასთანხმდა ამ წინადადებას.**

მარიზა ახლა ძალზე პოპულარულია. ის ერთბაშად რამდენიმე მომგებიან სარეკლამო კონტრაქტზე მუშაობს და სულ უფრო მეტი მოთხოვნილებაა მასზე.

რაც მთავარია, ის სამოყვარულო სპორტის ერთგულია, კერძოდ, ამერიკული ფეხბურთის. ის ერთ სარეკლამო კლიპშიც კი გადაიღეს, რომელიც ამ სპორტის სახეობის პოპულარიზაციას ემსახურება.



თანაც მარიზა მილერი ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში თამაშობდა ფრენბურთს. ქალიშვილს ამის შემდეგ სპორტის სიყვარული არ განელებია.

„მე ვეთაყვანები სპორტს, – თქვა მან, – ადრეული ბავშვობიდან მიყვარს სერფინგი. 2004 წელს კი მეორე ადგილი დავიკავე ერთ ტურნირში. ახლა უფრო კრივი მომწონს. ასე რომ, სამოდელო ბიზნესი რომ არ ამერჩია, უეჭველად წარმატებული სპორტსმენი ვიქნებოდი“.

## პარტახი

**საქართველოსგან განსხვავებით, მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში (რომელთა მიღწევებზე სწორება ძალთან უყვარს ჩვენს ხელისუფლებას), არასამთავრობო ორგანიზაციებს მწვანე შუქი აქვთ ნებისმიერი ინფორმაციის მიღებისათვის. გამონაკლისია მხოლოდ სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციები. „ვარდებით" მოსულები კი ყველა სახის ინფორმაცის ბლოკავენ, ან უბრალოდ არ იძლევიან. არასამთავრობოებსა და განსაკუთრებით მასმედიას ცნობების მოპოვება უცხოური გამოცემებიდან ან კულუარული, ინკოგნიტო რესპონდენტებიდან უწევთ. ამის მიზეზია ის, რომ საზოგადოებაში ამა თუ იმ მოვლენის მიმართ ვრცელდება მოარული ხმები. ყოველივე კი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა გაღიზიანებას იწვევს.**



# ხელისუფლება რუსეთისგან ზარალის ანაზღაურებას არ ითხოვს!

### რუსული აგრესიის ქრონოლოგია

სადამკვირვებლო პროგრამა UNOSAT-მა თანამგზავრების მეშვეობით გადაიღო რუსი და ოსი აგრესორების მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთში შეჭრისა და იქ დატრიალებული საშინელების კადრები. როგორც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰუმან რაით ვოჩის" მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი ედისონ გიდი აცხადებს, მათ არ გასჭირვებიათ სამშობლოდან საქართველოს ოკუპაციის დამადასტურებელი მასალის მიღება.

„ჰუმან რაით ვოჩი" აქვეყნებს ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსული ჯარების და მათი თანმხლები ოსი ბოევიკების შეჭრის ქრონოლოგიურ ცხრილს:

10 აგვისტო – სოფელი ქვემეთი.

12 აგვისტო – პირსი, ბერულა, კეხვი, ერედვი, ქურთა, ზემო აჩაბეთი, თამარაშენი.

13 აგვისტო – ერედვის დასავლეთი ნაწილი, მთელი ტერიტორია პრინევსა და ავნევს შორის, აგრეთვე სოფელ კეხვის სამხრეთი ტერიტორია. ეს ის ადგილებია, სადაც სამშვიდობოების ბლოკ-პოსტები უნდა ყოფილიყო.

18 აგვისტო – ქემერტი, ხეითი, ქვემო აჩაბეთი.

22 აგვისტო – ბერულა, ხეითის დარჩენილი ტერიტორია, ზემო დოდოითი.

### მიყენებული ზარალი

UNOSAT-ის ექსპერტები აცხადებენ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში ქართული სოფლები აღარ არსებობს. მათ თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოების ანალიზის შედეგად დაასკვნეს, რომ დაცარიელებული სახლების დიდი ნაწილი ცეცხლისგანაა განადგურებული – დამწვარი. ამის თქმის საშუალებას ექსპერტებს ის აძლევთ, რომ არ ჩანს ნაღმის ჩამოვარდნის მსდევი სპეციალური ღრმულები. სახლები ძირითადად დანგრეულია მთავარი გზის გასწვრივ, განსაკუთრებით ცხინვალი-ჯავის გზაზე. UNOSAT-ის დამკვირვებლებმა უახლესი ტექნოლოგიების საშუალებით დათვალეს განადგურებული სახლების რაოდენობა.

თამარაშენში განადგურებული, დამწვარი და ძლიერ დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისიძ 183, არსებული სახლების 50%-ზე მეტი.

ქვემო აჩაბეთში სრულიად დანგრეულია 88 სახლი, ხოლო ძლიერ დაზიანებულია 33 (სახლების 52%ძ.

ზემო აჩაბეთში განადგურებულია 56 სახლი, საცხოვრებლად უვარგისია 21 (საერთო რაოდენობის 41, 6%ძ.

ქურთაში სრულად განადგურებულია 123, ხოლო ძლიერ დაზიანებულია 21 სახლი (არსებულის 43,4%ძ.

კეხვში განადგურდა 110 სახლი, საცხოვრებლად უვარგისი გახდა 44 (სახლების 44,3%ძ.

ქემერტში განადგურებულია 71, ძლიერ დაზიანებულია 25 სახლი (30,6%ძ.

ძარწემში დაბომბვასა და მაროდიორების ცეცხლს შეეწირა 25 სახლი. განადგურების პირასაა მისული 8 სახლი (არსებულის 15,3%ძ.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სადამკვირებლო ჯგუფმა ცხინვალში (სადაც რუსების მტკიცების ნაქალაქარილა შემორჩაძ, დანგრეული და ძლიერ დაზიანებულია არსებული სახლების მხოლოდ 5%.

### რატომ არ ითხოვს საქართველო ზარალის ანაზღაურებას?

რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ჩადენილი აგრესია და ოკუპაცია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფიქსირდა. ყოველივეს კი, სხვა უბედურებებთან ერთად მოჰყვა, მატერიალური ზარალი, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მფლობელებისა. მატერიალური ზარალი გაიზომება და შემდგომი რეაგირებისათვის საერთაშორისო სასამართლოს წარედგინება. ამ აქტებს ვერავინ გაექცევა. ეს მიღებული საერთაშორისო ნორმებია. მაგრამ რატომღაც ჩვენი ხელისუფლება ამაზე დუმს. თავიდან გაკეთებულ განცხადებას მატერიალური კომპენსაციის თაობაზე გაგრძელება აღარ მოჰყოლია.

შეიძლება ამის მიზეზი ის იყოს, რომ როგორც ზოგიერთ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, მათ შორის ზაქარია ქუცნაშვილსაც მიაჩნიათ (პრაქტიკიდან გამომდინარეძ, რომ ბოლო წლებში საერთაშორისო სამართლის სფეროში არ მომხდარა არც ერთი ფაქტი, საომარი მოქმედებების დროს რომელიმე სახელმწიფოს, მითუმეტეს გამარჯვებულს, დამარცხებულისათვის რაიმე სახის მატერიალური ზარალის კომპენსირება მოეხდინოს.

ქუცნაშვილი განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლის ისტორიაში სახელმწიფოთაშორის ზარალის ანაზღაურება ხდება მხოლოდ სამოქალაქო ავარიების, საავიაციო და სარკინიგზო სიტუაციების დროს.

თუმცა საერთაშორისო სამართლის ექსპერტი თვლის, რომ უიმედოდ ყოფნა ჩვენს ხელისუფლებას არ ეგების და ყველა არსით უნდა ეცადოს ზარალის კომპენსირებას.

ქუცნაშვილისგან განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ექსპერტთა სხვა ჯგუფი, რომელიც თვლის, რომ ჩვენი ხელისუფლება შეგნებულად არ ითხოვს მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. მათ მიაჩნიათ, რომ ჯერ ერთი – ეს პროცესი გაიწელება, რაც სააკაშვილის გუნდს ხელს არ აძლევს. მეორეც ის, რომ რუსეთისათვის დანგრეულის ანაზღაურების დაკისრება, შეიძლება რფ-მ გამოიყენოს არა ფულადი დახმარების გადახდით, არამედ სამშენებლო და სხვა სახის მასალების მოწოდებით. ამ შემთხვევაში „ნაციონალების" ლიდერები ვერანაირ შემთხვევაში ვერ მოითბობენ ხელს (ან მიზერული თანხებითძ უბედურებაში ჩავარდნილთა ხარჯზე.

მას შემდეგ, რაც ჰუმანიტარულმა და სხვა სახის დახმარებებმა ჩვენში ნატურის სახით იწყო შემოდინება, „ვარდებით" მოსულებმა მთელი ყურადღება ევროპისა და აშშ-ს ფულად დახმარებებზე გადაიტანეს. თუმცა აქაც სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდათ თავდაპირველად შეპირებული თანხების გაცემაში. დაპირებულზე ნაკლებს იძლევა ევროკავშირი, აშშ-ს კონგრესმა შეიძლება დაბლოკოს პრეზიდენტ ბუშის ერთმილიარდიანი დახმარება.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, ექსპერტები ეკონომიკის სფეროში თვლიან, რომ შექმნილ სიტუაციაში ჩვენმა ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა მოითხოვოს საერთაშორისო სასამართლოსგან რფ-სთვის ზარალის ანაზღაურების დაკისრება და სწორედ აქ გამოიყენოს ამერიკელი და დასავლელი პარტნიორების ზეგავლენა და არ დარჩეს სხვისი წყალობის ხელებში შემყურე. ამჯერად მაინც დააყენოს ხელისუფლებამ პიროვნულზე წინ სახელმწიფოს ინტერესები!

**ზაზა ბილიხოძე**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

### რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: მე და ჩემს მეგობარს, რომლებმაც ღირსეულად მოვიხადეთ სავალდებულო სამხედრო სამსახური და მონაწილეობა მივიღეთ სამაჩაბლოს ომში, გვაინტერესებს, არსებობს საბრძოლო დამსახურების მედალი?**

**მირონ აბულაძე**

**პასუხი:** დიახ, არსებობს. „საბრძოლო დამსახურების" მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს სამხედრო მოსამსახურენი და სამოქალაქო პირნი სამშობლოს დაცვისა და ერთიანობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული პიროვნული დამსახურებისთვის.

* * *



**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, როდის შევიდა ცვლილებები „სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ" 1992 წლიდან მოქმედ საქართველოს კანონში?**

**გელა ხეთაგური**

**პასუხი:** საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ, 1992 წელს მიღებულ კანონში ცვლილებები და დამატებები შეტანილ იქნა 2003 წლის 29 იანვარს.

* * *

**კითხვა: ვარ 72 წლის, უდანაშაულოდ რეპრესირებული მშობლების ერთადერთი მემკვიდრე, გადასახლებაში დავიბადე და 15 წელი საშინელ პირობებში მიხდებოდა მშობლებთან ერთად ცხოვრება. დედა გადასახლებაში დაიღუპა, მე და მამამ ძლივს ჩამოვაღწიეთ საქართველომდე, მაგრამ ჯანგატეხილი მამა 2 წლის შემდეგ გარდაიცვალა. როგორც პოლიტრეპრესირებული მშობლების შვილი ვიღებ 55 ლარს თვეში, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ჩემს ოჯახს. გთხოვთ, განგვიმარტოთ, სწორად მეძლევა პენსია?**

**ანგელინა მიქიაშვილი**

**პასუხი:** ვინაიდან თქვენ გადასახლებაში დაბადებულხართ, პენსია გეკუთვნით უდანაშაულოდ რეპრესირებულია თანაბარი ოდენობით, რაც დღეისათვის, სამწუხაროდ, მხოლოდ 55 ლარს შეადგენს.

გირჩევთ, გადახვიდეთ ასაკის პენსიაზე, რომელიც თვეში 70 ლარის ოდენობით მაინც დაგენიშნებათ, ხოლო თუ შრომის სტაჟიც გაქვთ მასზე დანამატით დაგიწესდებათ.

* * *

**კითხვა: მყავს შვილი, რომელიც დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით. რა თანხა უნდა მიეღო ერთდროული პრემიის სახით?**

**ელისო ოქრომჭედლიშვილი**

**პასუხი:** ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოებულ პირებს, ერთდროული ფულადი პრემიის სახით 1992 წლიდან დღემდე მოქმედი კანონით ეძლევათ შრომის ანაზღაურების 50 მინიმალური ოდენობა.

* * *

**კითხვა: ვარ 72 წლის, მაქვს 40 წლის შრომის სტაჟი, ვცხოვრობ ჩხოროწყუში. რამდენი ლარი უნდა იყოს ჩემი პენსია?**

**ნოდარ კაკაჩია**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, თქვენი პენსიის ოდენობა უნდა იყოს თვეში 80 ლარი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

---

**ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება" იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ინსტიტუტის სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის განყოფილების უფროსი**

**ნოდარ ჩხეიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



---

**შპს „ჯორჯიან გეითის" ადმინისტრაცია იუწყება, რომ პარტნიორთა 2005 წლის 20 აგვისტოს კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება შპს „ჯორჯიან გეითის" (ს/№ 203866316ძ რეორგანიზაცია. კერძოდ, საზოგადოებას გამოეყოფა შპს „რეალისთეიტით". დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შეს. №33, ტელ: 997104.**

---

## სს „ოზურგეთის ნავთობპროდუქტის" აქციონერთა საყურადღებოდ!

**2008 წლის 23 ოქტომბერს, 12 საათზე საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში (ბათუმის ქუჩის შესახვევი №6ძ მოწვეულია აქციონერთა კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების 2007 წლის საფინანსო-ეკონომიკური შედეგების განხილვა-დამტკიცება;
2. საზოგადოების 2008 წლის 9 თვის შედეგების განხილვა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება;
4. წესდების ახალი რედაქციის დაამტკიცება.

**აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.**

**საზოგადოების დირექცია.**

წიგნი

# გვაცნობს აფხაზეთის ტყეებს



**წიგნის თაროს შეემატა საქართველოს დამსახურებული მეტყევის, გამოცდილი სამეურნეო ხელმძღვანელის ნუგზარ გერსამიას და მისი ვაჟის, ახალგაზრდა მეტყევის დავით გერსამიას ნაშრომი: „აფხაზეთის ტყეები და მეტყევეები“ (რედაქტორი – აკადემიკოსი გიორგი გიგაური, რეცენზენტები: ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ ოზოლაძე, საქართველოს დამსახურებული მეტყევე ნაპოლეონ შონია, საქართველოს დამსახურებული მეტყევე ჯუმბერ ბოიკო.**

აფხაზეთის ტყით დაფარულ ფართობზე საქართველოს ტყეების 17,4 პროცენტი უჭირავს. ტყეების საერთო ფართობი 508515 ჰექტარია, მათ შორის ტყით დაფარული ფართობი – 481347 ჰექტარი.

აფხაზეთის მერქნის მარაგი 104720.1 ათასი კუბმეტრია, მთლიანად საქართველოს მერქნის მარაგის 24,1 პროცენტი. აფხაზეთი მდიდარია საუკუნოვანი ხელუხლებელი ტყეებით



– 178, 9 ათასი ჰექტარი და საქართველოს ხელუხლებელი ტყეების 31,7 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული ტყეები ბუნების უნიკალურ, ხელთუქმნელ ძეგლებს წარმოადგენენ. არც ესთეტიკის და არც პროდუქტიულობის მაჩვენებლით ანალოგი არ გააჩნიათ ევროპაში.

წარმოდგენილი ნაშრომი მეტად ორიგინალურია, აფხაზეთის ტყეებსა და იქ მოღვაწე მეტყევეებზე ასე სავსედ დამაჯერებლად მსგავსი რამ ჯერ არავის გამოუქვეყნებია. იგი ძვირფასი შენაძენია ჩვენი ეროვნული საუნჯის, ტყის შესახებ უკანასკნელ ხანს შექმნილ სპეციალურ ლიტერატურულ წყაროებს შორის. მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას საერთოდ ტყეებზე და მის მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი აფხაზეთის ტყეების მრავალფეროვნებაზე.

ნაშრომი უდავოდ კარგი შენაძენია დევნილობაში მყოფ მეტყევეთათვის, რომელთაც წუთითაც არ გაუწყვეტიათ კავშირი აფხაზეთთან და თავიანთ პროფესიულ საქმიანობას კვლავ აგრძელებდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის 7,4 პროცენტში, საქართველოს იურისდიქციაში, კოდორის ხეობაში არსებულ ერთადერთ სატყეო სამმართველოს აჟარის სატყეო უბანში.

წარმოუდგენელია აუღელვებლად წაიკითხოთ სტრიქონები, რომლებიც ეძღვნება სხვადასხვა დროს აფხაზეთში მოღვაწე ქართველ და აფხაზ მეტყევე-სპეციალისტებს, მათ უდიდეს ღვაწლს აფხაზეთის უნიკალური, ხელთუქმნელი ტყეების დაცვის, აღდგენის, კვლავწარმოებისა და რაციონალურად გამოყენების საქმეში.

ნაშრომი მდიდარია ტყესთან დაკავშირებული საცნობარო ინფორმაციებით, რომელიც უთუოდ დააინტერესებს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ სხვა მონათესავე დარგების პროფესიონალებს. ცნობართან ერთად ნაშრომს დართული აქვს ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი სატყეო ტერმინების ახსნა-განმარტებითი ლექსიკონი. აქვე ვრცლად არის წარმოდგენილი ხელოვნური ტყეების გაშენების დინამიკა, რომლის ძალისხმევით მწვანით შეიმოსა აფხაზეთის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების შემოგარენი.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ავტორთა შეხედულებანი აფხაზეთის ტყეების წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ავტორები ოპტიმისტურად არიან განწყობილი, იმედიანად შესცქერიან ხვალინდელ დღეს, სწამთ, რომ აუცილებლად დაბრუნდებიან მშობლიურ აფხაზეთში და ისევ გააგრძელებენ ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართველთა და აფხაზთა საკეთილდღეოდ. ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ამ საკითხის მოგვარებაში თავიანთ სიტყვას იტყვიან დედაბუნებაზე შეყვარებული მეტყევეები.

წიგნი დააფინანსა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ.

**თამაზ ანთაძე**



უახლესი ტექნოლოგიები

# ჰაილიში

ალტერნატივა ქართულ ბაზარზე

ვიტრინა მაცივარი და მინი ბარი სასმელების, რძის პროდუქტების, მედიცინაში წამლების შენახვა-რეკლამირებისთვის

ევრო სტანდარტი
სრული კომპლექტაცია

| მოდელი | ზომა | | | ელ. ენერგიის მოხმარება |
|---|---|---|---|---|
| | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | |
| 308F | 594 | 590 | 1850 | 6.0კვ/24სთ-ში |
| 368FA2 | 650 | 650 | 1850 | 6.0კვ/24სთ-ში |
| 828FA1 | 1215 | 648 | 1850 | 17.2კვ/24სთ-ში |
| 1180FA1 | 1920 | 648 | 1860 | 19.0კვ/24სთ-ში |
| 1250FA1 | 1793 | 648 | 1860 | 17.2კვ/24სთ-ში |

მისაღები ფასები + საგარანტიო მომსახურება

ჩვენი მისამართია: თბილისი, კედიას 15 (ყოფილი კახოვკა, დიდუბეში)
ტელ: 35-50-20. 35-60-78

ელ-ფოსტა: tsikara2005@mail.ru; tsikara2005@yahoo.com

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

**ძვირფასო მკითხველო!**

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87
(89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

ანეკდოტები

**ყველა მთავრობის ოცნებაა: მოსახლეობა თვითონ სწავლობდეს, მკურნალობდეს, თავს იცავდეს და რეგულარულად იხდიდეს გადასახადებს.**

* * *

– ეს ეს არის ორი კბილი ამოვიღე.
– კი მაგრამ, შენ ხომ ერთი კბილი გტკიოდა?
– ასეა, მაგრამ ექიმს ხურდა არ ჰქონდა.

* * *

– თქვენი ავადმყოფობის მიზეზი ალკოჰოლია.
– დიდი მადლობა თქვენ პირველი ექიმი ბრძანდებით, ვინც ყველაფერი მე არ დამაბრალა.



* * *

– რატომღაც ისევ პარიზი მომინდა!
– რა უკვე იყავი იქ?
– არა, მაგრამ ადრეც მინდოდა!

* * *

ერთი „ბომჟი- მეორეს:
– სად ცხოვრობ?
– არსად.
– მაშ მეზობლები ვყოფილვართ!

* * *

– იცით, პატარა რომ ვიყავი, ექიმმა მითხრა, თუ ფრჩხილების კვნეტას არ გადაეჩვევი, ყეყეჩი გაიზრდებიო.
– მერე, რატომ არ გადაეჩვიე?

* * *

– საწყალი ვასია, ეს რა უბედურება აიკიდა.
– რაო, რა დაემართა?
– ჩემს ცოლთან ერთად გაიქცა!

* * *

ქმარი ცოლს მანქანის ტარებას ასწავლის. ცოლი მიუჯდა საჭეს და ეკითხება:
– აბა, რა უნდა გავაკეთო?
– ეს ძალზე მარტივია. მწვანე სინათლეზე მიდიხარ, წითელზე – იცდი, მაგრამ როცა დაინახავ, რომ ფერს ვკარგავ – დაამუხრუჭე!

* * *

მიხომ დაინახა, რომ მუზეუმში მხატვარი ძალზე ცნობილი სურათის ასლს აკეთებს, ის დარბაზის ზედამხედველს ეკითხება:
– რას უშვრებით ძველ სურათებს, როცა ახლები მზად იქნება?

* * *

– თუ ჩვენი დირექტორი თავის სიტყვებს უკან არ წაიღებს, აქ მეტს აღარ ვიმუშავებ!
– რაო, რა გითხრა ასეთი!
– სხვა სამუშაო მოძებნეო!

# განცხადება

## სააქციო საზოგადოების მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „ყაზბეგის“ დირექტორატი იწვევს ს/საზოგადოების აქციონერებს სს-ის მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 23 ოქტომბერს, 12 საათზე, ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ.№6-ში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის წლიური ანგარიში:
აძ წლიური ანგარიშის წარმოდგენა გენ. დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად.
ბძ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
2. გენ. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება.
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ.
5. აუდიტის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოების დირექციაში.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან აქციის მფლობელი ის აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში. 2008 წლის 22 სექტემბრის 18 საათამდე.

საერთო კრებაზე დასასწრებად სააღრიცხვო დღედ დანიშნულია: 2008 წლის 22 სექტემბერი.

**სს „ყაზბეგის“ ადმინისტრაცია**
**ქ. რუსთავი, 02 ოქტომბერი, 2008 წელი**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.